

17
561

1/3481
1
მე

**პროპაგანდისტის
და აბიტატორის
ბიბლიოთეკა**

მ. სიხარულიძე

**გეათადი
სიფყვის
ქადა**


ბიბლიოთეკა
ს. კ. სიხარულიძე
ს 56

ე. კ. სიხარულიძე

მართალი სიფყვის ძალა

K 3481
1

2



სახელმწიფო გამომცემლობა

„საბჭოთა საქართველო“

თბილისი

1961



შ ე ს ა ვ ა ლ ი


მშრომელი მასების კომუნისტურ აღზრდას ჩვენს ქვეყანაში ყოველდღიურად სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამჟამად საბჭოთა ადამიანების შეიარაღება მარქსისტულ-ლენინური იდეებით წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს პარტიის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანის—კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის წარმატებით გადაჭრაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიულ XXI ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ კომუნიზმში თანდათანობით გადასასვლელად მხოლოდ მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა როდია საკმარისი, ამასთანავე საჭიროა ყველა საბჭოთა მოქალაქის შეგნებულობის მაღალი დონე, რომელსაც ექნება კოლექტიურობის, საზოგადოების წინაშე ვალდებულების, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, პატრიოტიზმის გრძნობა, კომუნისტური მორალის მაღალი პრინციპები. მასებში აღმზრდელობითი მუშაობის წარმატებას მნიშვნელოვანწილად წყვეტენ აგიტატორების, პროპაგანდისტების, ლექტორების მრავალმილიონიანი კადრები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ პარტიული აგიტატორის როლი არასოდეს ყოფილა ისე საპასუხისმგებლო, როგორც ამჟამად; საოცრად გადიდდა მოთხოვნები, რომლებსაც ახლა ცხოვრება აყენებს. აგიტატორს აკისრია საპატიო მოვალეობა—შეიტანოს მასებში მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები, განმარტოს პარტიის პოლიტიკა. აგიტატორი არა მარტო მასების განმანათლებელია, იგი ამასთან ორგანიზატორია, რომელიც აღაფრთოვანებს ადამიანებს კომუნიზმის მშენებლობისათვის. მან მთელი პარტიული სიწრფელით უნდა აგრძნობინოს მშრომელებს ჩვენი ეპოქის სიდიადე, გასაგებად განმარტოს საბ-

ჭოთა ხალხის ბრწყინვალე გამარჯვებათა მნიშვნელობა, დარაზმოს ხალხი პარტიის მიერ დასახულ ისტორიულ მიზანდასახულობათა შესასრულებლად.

შვიდწლედის ვადამდე შესრულება მთლიანად დამოკიდებულია ადამიანებზე, მათ შეეგნებაზე. სწორედ ამიტომ ყოველდღიურად უნდა ვზრუნავდეთ მასებში პოლიტიკური მუშაობის გასაძლიერებლად. ჩვენი სამშობლო ყოველთვის იყო და არის მშვიდობის დაცვის კეთილშობილური საქმის მედროწე, იმპერიალისტთა, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის ავანგარდი. ცხადია, თვითეულ საბჭოთა მოქალაქეს კარგად უნდა ესმოდეს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა. ღრმა და ყოველმხრივი აგიტაცია მოწოდებულია ხელი შეუწყოს მშრომელებს უკეთ გაიგონ მშვიდობისათვის ბრძოლის უდიდესი აზრი, იყვნენ უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ამბების კურსში.

ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყველა კუთხეში, ფაბრიკებში, ქარხნებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში ყოველდღიურად ისმის აგიტატორის მგზნებარე სიტყვა, რომელიც ალაფრთოვანებს ადამიანებს ახალი შრომითი მამაცობისათვის. ამასთანავე კომუნისტურ პარტიას ყოველთვის ახსოვს, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი უშუალოდ არ არის დასაქმებული საწარმოში, დაწესებულებაში. დიასახლისების, ინვალიდების, პენსიონერების, მოხუცების ყოველდღიური ცხოვრება გამსჭვალულია იმავე აზრით და იდეებით, როგორც თვითეული საბჭოთა მშრომელის, მაგრამ მათ შორის უფრო მეტია ადამიანები, რომლებიც დამოუკიდებლად ვერ ერკვევიან მიმდინარე ამბებში. მოსახლეობის ამ ფენაში უფრო მეტად აქვს ფეხი მოკიდებული კაპიტალისტური წყობის გადმონაშთებს. პარტიის რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა ამ ადამიანებთან ყოველდღიური მუშაობა უნდა აწარმოონ. პარტიულმა ორგანიზაციებმა ყურადღება უნდა მიაქციონ მათ, უნდა განაგრძონ მუშაობა ყოფილ საარჩევნო უბნებში, გაგზავნონ აგიტატორები მრავალსართულიან სახლებში, საერთო საცხოვრებლებში, წითელ კუთხეებში, კლუბებსა და სამკითხველოებში.



განსაკუთრებით ფართო ხასიათს ატარებს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა საარჩევნო კამპანიების დროს. ასობით აგიტატივნიკურ პუნქტში გაცხოველებული საქმიანობაა გაჩაღებული. ამოცანა ის არის, რომ მრავალფეროვანი პოლიტიკური მუშაობა, აგიტატორების მრავალრიცხოვანი არმიის კეთილშობილური საქმიანობა მოსახლეობაში არჩევნების დამთავრების შემდეგაც გაგრძელდეს. სამწუხაროდ, პოლიტიკური კამპანიის დამთავრების შემდეგ აგიტატორთა რაოდენობა მცირდება, აგიტაცია უფერულდება. ამის გამართლება არაფრით შეიძლება. მოსახლეობის ინტერესი კომუნისტური სიტყვისადმი არჩევნების შემდეგ არათუ მცირდება, არამედ კიდევ უფრო იზრდება. საჭიროა სისტემატურად, ყოველდღიურად ვაწარმოებდეთ სააგიტაციო მუშაობას. ამას მოითხოვს კომუნისტური მშენებლობის ამოცანები.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა აგიტატორების საქმიანობა ახლა, როდესაც გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტი. იგი ჩვენი ქვეყნის, მსოფლიოს ყველა მშრომელის წინაშე სახავს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გრანდიოზულ ამოცანას. ეპოქის ეს უდიდესი დოკუმენტი წარმოადგენს მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებით განვითარებას.

აგიტატორებმა უნდა უზრუნველყონ, რომ საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მოსახლეობაში მოეწყოს კომუნისტური პარტიის პროგრამის საყოველთაო-სახალხო განხილვა. ყველა საბჭოთა ადამიანმა, კომუნისტებმა და უპარტიოებმა ღრმად უნდა შეიგნონ პროგრამის ისტორიული მნიშვნელობა, ენერგიის დაუზოგავად იბრძოლონ მის განსახორციელებლად.

პროგრამის გამოქვეყნების შემდეგ პირველივე დღეებმა თვალნათლივ გვიჩვენა, რომ საბჭოთა ადამიანები მას იღებენ როგორც ღვიძლ, ახლობელ საქმეს, თავიანთი ცხოვრების მიზანს. აგიტატორებმა ყოველმხრივ უნდა გააღვივონ ეს შესანიშნავი გრძნობა.

I. კომუნიზმის მუენახლოვა მილიონობით მშრომელის საქმეა

შვიდწლიანი გეგმა კომუნისტური საზოგადოების მუენებლობის გრანდიოზული პროგრამაა. იგი ითვალისწინებს მშრომელთა მატერიალურ-კულტურულ მოთხოვნილებათა სრულ დაკმაყოფილებას. კომუნიზმის მუენებლობის დიდებული იდენის განხორციელებისას კომუნისტური პარტია ეყრდნობა მილიონობით მშრომელის დაუშრეტელ შემოქმედებით აქტივობას, მათ უსაზღვრო სიყვარულს, ნდობას მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მთავრობისადმი.

საბჭოთა ხალხი პატრიოტული საქმეებით უპასუხებს პარტიის მოწოდებებს. ჩვენი სამშობლოს ყოველ კუთხეში საბჭოთა ადამიანები უჩვეულო ერთუზიანებით შრომობენ შვიდწლედის დავალებათა გასანადღებლად. იდეოლოგიური ფრონტის მუშაკები — აგიტატორები მოწოდებული არიან კიდევ უფრო გააუმჯობესონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მოსახლეობაში, სათავეში ჩაუდგენენ მშრომელთა შემოქმედებით და პოლიტიკურ აღმავლობას, გადააქციონ იგი საერთო-სახალხო მოძრაობად. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „თანამედროვე პირობებში პარტიული პროპაგანდის ამოცანების შესახებ“ გამოქვეყნების შემდეგ პარტიულმა ორგანიზაციებმა გააუმჯობესეს იდეოლოგიური მუშაობა, უფრო მეტად დაუკავშირეს იგი ყოველდღიურ ცხოვრებას. შვიდწლედის ამოცანათა პროპაგანდა, მშრომელთა მობილიზაცია მათ შესასრულებლად ერთდროული კამპანია როდია, იგი კომუნისტური აგიტაციის შემადგენელი, განუყრელი ნაწილია, საბრძოლო ამოცანაა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე.

სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა საბჭოთა ადამიანების სისხლხორცეულ, ღვიძლ საქმედ იქცა. რადგან იგი ითვალისწინებს ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის ახალ მძლავრ აღმავლობას, ხალხის შრომის, კეთილდღეობის პირობების გაუმჯობესებას. ყოველდღიურად ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან მოდის სასიხარულო და ამადღევებელი ცნობები საბჭოთა ადამიანების შრომითი გამარჯვებების შესახებ. ყველაფერი ეს აგიტატორებს საშუალებას აძლევს გაამდიდრონ თავიანთი საუბრები შესანიშნავი ფაქტებით და მაგალითებით, ცხოვრებისეული საკითხების განზოგადებით უჩვენონ მსმენელებს ჩვენი დიადი ეპოქის ჭეშმარიტი სურათი.

არიან ადამიანები, რომლებიც წლების მიუხედავად არ კარგავენ ენერგიას, ცოდნის შეძენის სურვილს. ისინი სულიერად არ ბერდებიან, ყოველთვის აქტიურად მონაწილეობენ ცხოვრების ფერხულში. სწორედ ასეთი ადამიანების რიცხვს ეკუთვნის აგიტატორი მ. გოგიაშვილი. იგი უკვე აღარ არის ახალგაზრდა. თმაში ჭაღარა შეპარვია, სახეზეც ემჩნევა ორიოდე ნაოჭი, მაგრამ საკმარისია გაიღიმოს, მაშინვე დაგავიწყდებათ, რომ თქვენს წინ ხნირი ადამიანია. როდესაც ჰკითხავთ, თუ რამდენი წელია აგიტატორად მუშაობს, ხუმრობით გიპასუხებთ:


— მთელი სიცოცხლე!..

ამ ხუმრობაში სიმართლეცაა. ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე მან მრავალ ადამიანს გაუწია დახმარება გამხდარიყო კომუნისტი, გაულვიდა ინტერესი საზოგადოებრივი მუშაობისადმი. ასაკის მიუხედავად მ. გოგიაშვილი ახალგაზრდული ენერგიით მუშაობს, იგი გულმოდგინედ ემზადება თვითეული საუბრისათვის. „სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა“, — ასეთი იყო მორიგი თემა. მან შეაგროვა ციფრები და ფაქტები, მოიმარაგა დიაგრამები და სხვა თვალსაჩინოებანი. აგიტატუნქტში მოწყობილ საუბარს ბევრი მშრომელი დაესწრო. აგიტატორი იკავებს ადგილს მაგიდასთან, ყურადღებით ათვალისწინებს შეკრებილთ. აქ არიან დიასახლისები, მუშები, პენსიონერები. საუბარმა შვიდწლიანი გეგმის შესახებ ყველა დააინტერესა.

საბჭოთა საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე, — ამბობს აგიტატორი, — კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუწყვეტლივ ზრუნავდნენ ხალხის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოსახლეობის ცხოვრების დონე მნიშვნელოვნად გადიდდა, თვითეულ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავალი 15-ჯერ გაიზარდა. ჩვენი ქვეყანა შევიდა თავისი განვითარების ახალ ეტაპში — კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში. სოციალისტური წარმოების შემდგომი განვითარების საფუძველზე სულ უფრო სწრაფად იქნება დაკმაყოფილებული საბჭოთა ხალხის მზარდი მატერიალური მოთხოვნილებანი. მოხსენებაში სკკპ XXI ყრილობაზე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობდა: „თანამედროვე პირობებში, როცა ჩვენს ქვეყანაში შექმნილია და წარმატებით ვითარდება მძლავრი მრეწველობა და მსხვილი სოფლის მეურნეობა, ყველა პირობაა იმისათვის, რომ უახლოეს დროში საბჭოთა ხალხმა კიდევ უკეთ იცხოვროს, უფრო სრულად დაიკმაყოფილოს მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი“¹.

თქვენ თვითონ ხედავთ, — ამბობდა აგიტატორი, — თუ როგორი ტემპებით მიმდინარეობს რაიონში ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, მწყობრში დგება საბავშვო ბაღები, ახალი ქუჩები. შემდეგ აგიტატორი სოციალისტურ სისტემას ადარებს კაპიტალისტურს, მოჰყავს კონკრეტული მაგალითები. ოფიციალური მონაცემებით 1958 წელს 1947 — 1949 წელთან შედარებით, — ამბობს იგი, — ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრების ღირებულება 16,2 პროცენტით გადიდდა. წარმოების მაღალი დონის მიუხედავად მილიონობით ადამიანი ნახევრად მშიერია. მათ არა აქვთ სამუშაო, რომ გამოკვებონ ოჯახი, მაშინ როდესაც საქონლის კოლოსალურ რაოდენობას საწყობებში ალბობენ, სპობენ, რათა კაპიტალისტებმა შეინარჩუნონ მაღალი ფასები. ჩვენი სამშობლოს სახალხო მეურნეობის განვითარების შედეგად იქნება გეგ-

¹ ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959—1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ, 1959, გვ. 56.



მით გათვალისწინებულია სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გადიდება 62—65 პროცენტით. 1965 წელს ჩვენს ქვეყანა გამოუშვებს პროდუქტებსა და სამრეწველო საქონელს 4,5-ჯერ მეტს, ვიდრე ომამდელ 1940 წელს. შვიდწლედის ბოლოსთვის გათვალისწინებულია მოვიყვანოთ მარცვლეული 10—11 მილიარდი ფუთი წელიწადში. 1965 წელს 1958 წელთან შედარებით ხორცის საერთო წარმოება გადიდება 2-ჯერ, რძისა — 1,7-ჯერ, კვერცხისა — 1,6-ჯერ. პროდუქტების წარმოების ასეთი სწრაფი ტემპით ზრდა შესაძლებელია მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში. როგორც ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობს, 1965 წლის შემდეგ რამდენიმე წელიწადში, ან იქნებ უფრო ადრეც, ჩვენი ქვეყანა გამოვა პირველ ადგილზე მსოფლიოში როგორც წარმოების აბსოლუტური მოცულობის მხრივ, ისე ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ, რაც უზრუნველყოფს ცხოვრების ყველაზე მაღალ დონეს მსოფლიოში. აგიტატორის საუბრის შემდეგ ბევრ დამსწრეს აღეძრა სურვილი გამოეთქვა საკუთარი მოსაზრება. გაიშალა გაცხოველებული კამათი.

დიდ განმარტებით მუშაობას ეწევიან აგიტატორები სამგორის რაიონის სოფლების მოსახლეობაში. უნარიანად იყენებენ ადგილობრივ მდიდარ მასალებს, ნათლად და გასაგებად უხსნიან სოფლის მშრომელებს იმ უდიდეს ამოცანებს, რომლებსაც ამჟამად კომუნისტური პარტია აყენებს სოფლის მეურნეობის წინაშე. სამგორის რაიონის სოფელ ლისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის აგიტატორმა ვ. ჩაგელაშვილმა მორიგი საუბრისათვის საინტერესო და მრავალფეროვანი მასალა შეკრიბა. საუბარი ცოცხლად, აზრთა ურთიერთგაცვლის ვითარებაში წარიმართა. მსმენელებმა წამოაყენეს კონკრეტული წინადადებანი, თუ როგორ შეიძლება შემცირდეს მინდვრად ტრაქტორების უსარგებლო გარბენა, რა გზით დაიზოგოს საწვავი. შარშან, — თქვა აგიტატორმა, — სახელმწიფოს 29 ტონის ნაცვლად მივყიდეთ 51 ტონა ხორცი, 28 ტონით გადავაჭარბეთ რძის გემვას, 12 ათასი ცალით კვერცხისას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1961 წლის იანვრის პლენუმმა დასახა ამოცანა — ამალდეს მიწათმოქმედების საერთო კულტურა, გადიდეს სასოფლო-სამეურნეო

პროდუქტების წარმოება, შრომის ნაყოფიერება. ჩვენი კოლმეურნეობის წევრები ენერჯის დაუზოგავად იბრძვიან საქაპატიო დავალებათა შესასრულებლად. ასეთი საუბრებში რომლებშიც მრავლად არის კონკრეტული მაგალითები, მსმენელებზე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს.

შვიდწლედის გრანდიოზულ მიზანდასახულობათა პრობაგანდასთან ერთად აგიტატორებმა თვალნათლივ უნდა უჩვენონ, როგორ ამადლდება საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის დონე, როგორ ზრუნავს პარტია მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ შვიდწლიანი გეგმა საზოგადოებრივი წარმოების გადიდებასთან ერთად ითვალისწინებს მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელ ზრდას.

მოსახლეობაში შვიდწლედის ამოცანათა პრობაგანდას აქვს თავისი თავისებურებანი. ბოლშევიკური აგიტაცია თავისი ბუნებით, ხასიათითა და მიმართულებით ქმედითი და მიზანდასახულია. მისი ამოცანა მხოლოდ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განმარტება როდია, იგი მოწოდებულია დარაზმოს მშრომელები ამ ამოცანათა წარმატებით გადასატრელად. მგზნებარე კომუნისტური სიტყვა, რომლითაც აგიტატორი მოსახლეობაში გამოდის, შესანიშნავ შედეგს იძლევა. იგი ხელს უწყობს ახალი ადამიანის აღზრდას, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში. მშრომელთა უფართოესი მასების ჩაბმა აქტიურ საზოგადოებრივ და საწარმოო ცხოვრებაში აგიტატორის უპირველესი მოვალეობაა. სწორედ ამ ნიშნის მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ აგიტატორზე. თუ მისი საუბრების შემდეგ მსმენელებს აღეძრებათ სურვილი ჩაებან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, გამოიჩენენ ინიციატივას იბრძოლონ წესრიგისა და სისუფთავისათვის საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, თავშეყრის ადგილებში — მიზანი მიღწეული იქნება. მრავალი აგიტატორი სანიმუშოდ ართმევს თავს ამ ამოცანას, კარგად იყენებს ადგილობრივ ფაქტებს და მასალებს ყოველდღიური ცხოვრები-

I. კომუნიზმის მუენახლოვა მილიონობით მშრომელის საქმეა

შვიდწლიანი გეგმა კომუნისტური საზოგადოების მუენებლობის გრანდიოზული პროგრამაა. იგი ითვალისწინებს მშრომელთა მატერიალურ-კულტურულ მოთხოვნილებათა სრულ დაკმაყოფილებას. კომუნიზმის მუენებლობის დიდებული იდენის განხორციელებისას კომუნისტური პარტია ეყრდნობა მილიონობით მშრომელის დაუშრეტელ შემოქმედებით აქტივობას, მათ უსაზღვრო სიყვარულს, ნდობას მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მთავრობისადმი.

საბჭოთა ხალხი პატრიოტული საქმეებით უპასუხებს პარტიის მოწოდებებს. ჩვენი სამშობლოს ყოველ კუთხეში საბჭოთა ადამიანები უჩვეულო ერთუზიანებით შრომობენ შვიდწლედის დავალებათა გასანადღებლად. იდეოლოგიური ფრონტის მუშაეები — აგიტატორები მოწოდებული არიან კიდევ უფრო გააუმჯობესონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მოსახლეობაში, სათავეში ჩაუდგენენ მშრომელთა შემოქმედებით და პოლიტიკურ აღმავლობას, გადააქციონ იგი საერთო-სახალხო მოძრაობად. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „თანამედროვე პირობებში პარტიული პროპაგანდის ამოცანების შესახებ“ გამოქვეყნების შემდეგ პარტიულმა ორგანიზაციებმა გააუმჯობესეს იდეოლოგიური მუშაობა, უფრო მეტად დაუკავშირეს იგი ყოველდღიურ ცხოვრებას. შვიდწლედის ამოცანათა პროპაგანდა, მშრომელთა მობილიზაცია მათ შესასრულებლად ერთდროული კამპანია როდია, იგი კომუნისტური აგიტაციის შემადგენელი, განუყრელი ნაწილია, საბრძოლო ამოცანაა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე.

სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა საბჭოთა ადამიანების სისხლხორცეულ, ღვიძლ საქმედ იქცა. რადგან იგი ითვალისწინებს ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის ახალ მძლავრ აღმავლობას, ხალხის შრომის, კეთილდღეობის პირობების გაუმჯობესებას. ყოველდღიურად ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან მოდის სასიხარულო და ამადღევებელი ცნობები საბჭოთა ადამიანების შრომითი გამარჯვებების შესახებ. ყველაფერი ეს აგიტატორებს საშუალებას აძლევს გაამდიდრონ თავიანთი საუბრები შესანიშნავი ფაქტებით და მაგალითებით, ცხოვრებისეული საკითხების განზოგადებით უჩვენონ მსმენელებს ჩვენი დიადი ეპოქის ჭეშმარიტი სურათი.

არიან ადამიანები, რომლებიც წლების მიუხედავად არ კარგავენ ენერჯიას, ცოდნის შეძენის სურვილს. ისინი სულიერად არ ბერდებიან, ყოველთვის აქტიურად მონაწილეობენ ცხოვრების ფერხულში. სწორედ ასეთი ადამიანების რიცხვს ეკუთვნის აგიტატორი მ. გოგიაშვილი. იგი უკვე აღარ არის ახალგაზრდა. თმაში ჭაღარა შეპარვია, სახეზეც ემჩნევა ორიოდე ნაოჭი, მაგრამ საკმარისია გაიღიმოს, მაშინვე დაგავიწყდებათ, რომ თქვენს წინ ხნირი ადამიანია. როდესაც ჰკითხავთ, თუ რამდენი წელია აგიტატორად მუშაობს, ხუმრობით გიპასუხებთ:


— მთელი სიცოცხლე!..

ამ ხუმრობაში სიმართლეცაა. ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე მან მრავალ ადამიანს გაუწია დახმარება გამხდარიყო კომუნისტი, გაულვიდა ინტერესი საზოგადოებრივი მუშაობისადმი. ასაკის მიუხედავად მ. გოგიაშვილი ახალგაზრდულ ენერჯიით მუშაობს, იგი გულმოდგინედ ემზადება თვითეული საუბრისათვის. „სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა“, — ასეთი იყო მორიგი თემა. მან შეაგროვა ციფრები და ფაქტები, მოიმარაგა დიაგრამები და სხვა თვალსაჩინოებანი. აგიტატორი იკავებს ადგილს მაგიდასთან, ყურადღებით ათვალისწინებს შეკრებილთ. აქ არიან დიასახლისები, მუშები, პენსიონერები. საუბარმა შვიდწლიანი გეგმის შესახებ ყველა დააინტერესა.

საბჭოთა საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე, — ამბობს აგიტატორი, — კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუწყვეტლივ ზრუნავდნენ ხალხის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოსახლეობის ცხოვრების დონე მნიშვნელოვნად გადიდდა, თვითეულ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავალი 15-ჯერ გაიზარდა. ჩვენი ქვეყანა შევიდა თავისი განვითარების ახალ ეტაპში — კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში. სოციალისტური წარმოების შემდგომი განვითარების საფუძველზე სულ უფრო სწრაფად იქნება დაკმაყოფილებული საბჭოთა ხალხის მზარდი მატერიალური მოთხოვნილებანი. მოხსენებაში სკკპ XXI ყრილობაზე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობდა: „თანამედროვე პირობებში, როცა ჩვენს ქვეყანაში შექმნილია და წარმატებით ვითარდება მძლავრი მრეწველობა და მსხვილი სოფლის მეურნეობა, ყველა პირობაა იმისათვის, რომ უახლოეს დროში საბჭოთა ხალხმა კიდევ უკეთ იცხოვროს, უფრო სრულად დაიკმაყოფილოს მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი“¹.

თქვენ თვითონ ხედავთ, — ამბობდა აგიტატორი, — თუ როგორი ტემპებით მიმდინარეობს რაიონში ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, მწყობრში დგება საბავშვო ბაღები, ახალი ქუჩები. შემდეგ აგიტატორი სოციალისტურ სისტემას ადარებს კაპიტალისტურს, მოჰყავს კონკრეტული მაგალითები. ოფიციალური მონაცემებით 1958 წელს 1947 — 1949 წელთან შედარებით, — ამბობს იგი, — ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრების ღირებულება 16,2 პროცენტით გადიდდა. წარმოების მაღალი დონის მიუხედავად მილიონობით ადამიანი ნახევრად მშიერია. მათ არა აქვთ სამუშაო, რომ გამოკვებონ ოჯახი, მაშინ როდესაც საქონლის კოლოსალურ რაოდენობას საწყობებში ალბობენ, სპობენ, რათა კაპიტალისტებმა შეინარჩუნონ მაღალი ფასები. ჩვენი სამშობლოს სახალხო მეურნეობის განვითარების შედეგად იქნება გეგ-

¹ ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959—1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ, 1959, გვ. 56.



მით გათვალისწინებულია სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გადიდება 62—65 პროცენტით. 1965 წელს ჩვენს ქვეყანა გამოუშვებს პროდუქტებსა და სამრეწველო საქონელს 4,5-ჯერ მეტს, ვიდრე ომამდელ 1940 წელს. შვიდწლედის ბოლოსთვის გათვალისწინებულია მოვიყვანოთ მარცვლეული 10—11 მილიარდი ფუთი წელიწადში. 1965 წელს 1958 წელთან შედარებით ხორცის საერთო წარმოება გადიდება 2-ჯერ, რძისა — 1,7-ჯერ, კვერცხისა — 1,6-ჯერ. პროდუქტების წარმოების ასეთი სწრაფი ტემპით ზრდა შესაძლებელია მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში. როგორც ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობს, 1965 წლის შემდეგ რამდენიმე წელიწადში, ან იქნებ უფრო ადრეც, ჩვენი ქვეყანა გამოვა პირველ ადგილზე მსოფლიოში როგორც წარმოების აბსოლუტური მოცულობის მხრივ, ისე ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ, რაც უზრუნველყოფს ცხოვრების ყველაზე მაღალ დონეს მსოფლიოში. აგიტატორის საუბრის შემდეგ ბევრ დამსწრეს აღეძრა სურვილი გამოეთქვა საკუთარი მოსაზრება. გაიშალა გაცხოველებული კამათი.

დიდ განმარტებით მუშაობას ეწევიან აგიტატორები სამგორის რაიონის სოფლების მოსახლეობაში. უნარიანად იყენებენ ადგილობრივ მდიდარ მასალებს, ნათლად და გასაგებად უხსნიან სოფლის მშრომელებს იმ უდიდეს ამოცანებს, რომლებსაც ამჟამად კომუნისტური პარტია აყენებს სოფლის მეურნეობის წინაშე. სამგორის რაიონის სოფელ ლისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის აგიტატორმა ვ. ჩაგელაშვილმა მორიგი საუბრისათვის საინტერესო და მრავალფეროვანი მასალა შეკრიბა. საუბარი ცოცხლად, აზრთა ურთიერთგაცვლის ვითარებაში წარიმართა. მსმენელებმა წამოაყენეს კონკრეტული წინადადებანი, თუ როგორ შეიძლება შემცირდეს მინდვრად ტრაქტორების უსარგებლო გარბენა, რა გზით დაიზოგოს საწვავი. შარშან, — თქვა აგიტატორმა, — სახელმწიფოს 29 ტონის ნაცვლად მივყიდეთ 51 ტონა ხორცი, 28 ტონით გადავაჭარბეთ რძის გემამას, 12 ათასი ცალით კვერცხისას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1961 წლის იანვრის პლენუმმა დასახა ამოცანა — ამალდეს მიწათმოქმედების საერთო კულტურა, გადიდეს სასოფლო-სამეურნეო

პროდუქტების წარმოება, შრომის ნაყოფიერება. ჩვენი კოლმეურნეობის წევრები ენერჯის დაუზოგავად იბრძვიან საქატიო დავალებათა შესასრულებლად. ასეთი საუბრებში რომლებშიც მრავლად არის კონკრეტული მაგალითები, მსმენელებზე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს.

შვიდწლედის გრანდიოზულ მიზანდასახულობათა პროპაგანდასთან ერთად აგიტატორებმა თვალნათლივ უნდა უჩვენონ, როგორ ამადლდება საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის დონე, როგორ ზრუნავს პარტია მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ შვიდწლიანი გეგმა საზოგადოებრივი წარმოების გადიდებასთან ერთად ითვალისწინებს მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელ ზრდას.

მოსახლეობაში შვიდწლედის ამოცანათა პროპაგანდას აქვს თავისი თავისებურებანი. ბოლშევიკური აგიტაცია თავისი ბუნებით, ხასიათითა და მიმართულებით ქმედითი და მიზანდასახულია. მისი ამოცანა მხოლოდ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განმარტება როდია, იგი მოწოდებულია დარაზმოს მშრომელები ამ ამოცანათა წარმატებით გადასატრელად. მგზნებარე კომუნისტური სიტყვა, რომლითაც აგიტატორი მოსახლეობაში გამოდის, შესანიშნავ შედეგს იძლევა. იგი ხელს უწყობს ახალი ადამიანის აღზრდას, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში. მშრომელთა უფართოესი მასების ჩაბმა აქტიურ საზოგადოებრივ და საწარმოო ცხოვრებაში აგიტატორის უპირველესი მოვალეობაა. სწორედ ამ ნიშნის მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ აგიტატორზე. თუ მისი საუბრების შემდეგ მსმენელებს აღეძრებათ სურვილი ჩაებან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, გამოიჩენენ ინიციატივას იბრძოლონ წესრიგისა და სისუფთავისათვის საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, თავშეყრის ადგილებში — მიზანი მიღწეული იქნება. მრავალი აგიტატორი სანიმუშოდ ართმევს თავს ამ ამოცანას, კარგად იყენებს ადგილობრივ ფაქტებს და მასალებს ყოველდღიური ცხოვრები-

დან, იცნობს მშრომელთა სურვილებს, მიზნებს, ახერხებს მსმენელთა დაინტერესებას საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობით. კარგი, ნაყოფიერი სააგიტაციო მუშაობის მაგალითს იძლევა 67-ე საშუალო სკოლის ქიმიის კაბინეტის ლაბორანტის აგიტატორ ც. ბოდოკიას მიერ მოწყობილი საუბარი ქ. თბილისის კიროვის რაიონში. საუბარს ესწრებოდნენ დიასახლისები, საწარმო-დაწესებულებათა თანამშრომლები. საუბრის თემა იყო: „კიროვის რაიონი წინათ და ახლა“. საინტერესო და მრავალფეროვანი ფაქტებით აგიტატორმა შეძლო თავიდანვე დაეპყრო მსმენელთა ყურადღება. ამასთან აღსანიშნავია ერთი მომენტი, რომელმაც ძირითადად განსაზღვრა საუბრის შედეგიანობა. აგიტატორი ფაქტებითა და ციფრებით მოხერხებულად სარგებლობდა. მან აგრძნობინა მსმენელებს, რომ რაიონის საერთო წარმატებებში მნიშვნელოვან როლს თვით აქ დამსწრეთა თავდადებული შრომაც ასრულებს, თვითეულ მათგანზეც არის დამოკიდებული შვიდწლიანი გეგმის შესრულება. შეიძლება მსმენელებს კიდევაც ჰქონდათ ამაზე ბუნდოვანი წარმოდგენა, მაგრამ აგიტატორის საუბრის შემდეგ მათ სიამაყე იგრძნეს, სახე გაუბრწყინდათ. აგიტატორმა შეადარა რაიონის დღევანდელი სახე წინანდელს. მსმენელთა შორის ბევრი აღმოჩნდნენ, რომლებიც მოწმენი იყვნენ იმ დიდი ცვლილებებისა, რომლებიც უკანასკნელ წლებში მოხდა. ისინი თავიანთ რეპლიკებს ურთავდნენ აგიტატორის საუბარში. მიზანი მიღწეული იყო. მსმენელებსა და აგიტატორს შორის დამაკავშირებელი ძაფი გაიბა. ყველა უკვე დიდი ინტერესით უსმენდა საუბარს.

თქვენ კარგად გახსოვთ, — განაგრძო აგიტატორმა, — როგორი იყო კიროვის რაიონი ადრე. ახლა კი იგი მრავალსართულიანი სახლებით, ულამაზესი მაგისტრალებით და კვარტალებით დამშვენდა. ამის შემდეგ აგიტატორმა ილაპარაკა, თუ როგორ იბრძვიან რაიონის მშრომელები შვიდწლიანი გეგმის შესასრულებლად. მისი საუბრის შემდეგ მსმენელებმა მრავალი საქმიანი წინადადება წამოაყენეს. შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ კიროვის რაიონში ვცხოვრობთ — ეს იგრძნობოდა თვითეული მათგანის სიტყვაში.

მართალია, ჩვენი რაიონი ერთ-ერთი ულამაზესია დღეს ქალაქში, — განაცხადა ერთ-ერთმა მსმენელმა, — მაგრამ კულახდობად რომ ვთქვათ, ჯერ კიდევ ცოტაა მწვანე ნარგავები ქუჩებში უსუფთაობა და მტვერია. კარგი იქნება, ჩამოვაყალიბოთ ბრიგადა, შემდეგ მას სხვებიც შეუერთდებიან და შევუდგებით გამწვანების სამუშაოებს!

მეორე მსმენელმა აზრი გამოთქვა, რომ ქუჩებში წესრიგისა და სისუფთავის დაცვას პირველ რიგში თვით მოსახლეობა უნდა ადევნებდეს თვალყურს. გარდა ამისა, მან ილაპარაკა იმაზე, რომ ჯერ კიდევ საკმარისი როდია საბავშვო ბაღებისა და ბაგების რაოდენობა. კამათში ბევრმა მიიღო მონაწილეობა. სასიხარულო და მისასალმებელი ის იყო, რომ თვითეულის გამოსვლაში იგრძნობოდა ღრმა დაინტერესება საერთო საქმით. ლაპარაკობდნენ გულწრფელად, მზად იყვნენ თავიანთი შრომა ჩაექსოვათ საზოგადოებრივ საქმეში, პირადად მიეღოთ მონაწილეობა რაიონის გამწვენიერებაში.

ხვალ დილიდანვე, — თქვა ერთ-ერთმა დიასახლისმა, — შევკრებ ჩვენი სახლის მცხოვრებლებს, დავასუფთავებთ ეზოს. დავრგავთ ბუჩქებსა და ხეებს, მოვაწყობთ ბავშვებისათვის სათამაშო მოედანს.

თუ თვითეული აგიტატორი შეძლებს მოსახლეობაში ასეთი აქტივობის გამოწვევას, მაშინ მშრომელთა საქმიანობა ჩვენი ქვეყნის მასშტაბით დიდ საერთო-სახალხო საქმედ იქცევა.


იმისათვის, რომ აგიტაცია ქმედითი და შედეგიანი იყოს, გულისყურით უნდა ვუსმინოთ თვით მსმენელებს, გავითვალისწინოთ მათი სურვილები, ინტერესები. კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად მშრომელთა დარაზმვისათვის ყოველთვის უნდა გვეჭიროს კურსი ახლისაკენ. უნდა ვეცადოთ, თვითეული საუბარი კონკრეტული, შინაარსიანი იყოს, იგრძნობოდეს საქმის ცოდნა, ადგილობრივი ამოცანებისა და საკითხების დაკავშირების უნარი საერთო საქმესთან. უნდა გვახსოვდეს, რომ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა ცოცხალი, პრაქტიკული საქმეა, იგი საბჭოთა ადამიანის შრომის ნაყოფია.



დიდი და შესანიშნავი ცვლილებები ხდება ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში უკანასკნელი წლების მანძილზე. სულ უფრო უმჯობესდება პოლიტიკური აგიტაცია მოსახლეობაში, იხვეწება მისი ფორმები და მეთოდები. მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდა მჭიდროდ უკავშირდება კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებს. აგიტატორთა მრავალრიცხოვანი არმია, რომელიც მოსახლეობაში მუშაობს, ყოველდღიურად იმაღლებს იდეურ-პოლიტიკურ დონეს, სრულყოფს თავის საქმიანობას. აქვე უნდა ითქვას, რომ თვით ყველაზე ღრმად განსწავლული აგიტატორიც ვერ შეძლებს მუშაობის კარგად წარმართვას, თუ მას ცოდნასთან ერთად არა აქვს უნარი ილაპარაკოს მარტივად და გასაგებად რთულ საკითხებზე; დაუკავშიროს იგი ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაში მომხდარ საინტერესო მოვლენებს. განა იშვიათია შემთხვევა, როდესაც მეთოდური თვალსაზრისით უნაკლო საუბარი მოსაწყენი და გაუგებარია მსმენელებისათვის? — ამის მიზეზია პირველ რიგში მოწყვეტა ყოველდღიურობისაგან, სიახლისაგან. არიან აგიტატორები, რომლებიც არა მარტო ამდიდრებენ მსმენელთა ცოდნას, არამედ აღაფრთოვანებენ მათ ახალი შრომითი მამაცობისათვის. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ლენინის რაიონის აგიტატორ ს. გამრეკელის მუშაობა.

უკანასკნელ ხანს თბილისის მრეწველობის სიამაყედ იქცა ელმავალმშენებელი ქარხანა. ლენინის რაიონის მშრომელებმა კარგად იციან, რომ აქ დამზადებული ელმავლები დაქრიან ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ფოლადის არტერიებზე. ამიტომ ისინი ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენენ ქარხნის კოლექტივის საქმიანობისადმი. სწორად მოიქცა აგიტატორი ს. გამრეკელი, რომელმაც თავის ერთ-ერთ საუბარში, რომელიც მოსახლეობაში მოაწყო, ამ თემაზე ჩამოაგდო სიტყვა.

როგორც თქვენ იცით, — მიმართა მან მსმენელებს, — ქართველი ხალხის დიდი ეროვნული დღესასწაულის დღეებში ჩვენთან სტუმრად ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური



პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი. დედაქალაქის საწარმოთაგან იგი პირველ რიგში ეწვია ელმავალსაშენებელ ქარხანას, საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე ახალგაზრდა საწარმოს. „ქართველ ამხანაგებს შეუძლიათ იამაყონ იმით, რომ თბილისში შექმნილი ელმავლები დადიან ჩვენი დიდი ქვეყნის მრავალ ფოლადის მაგისტრალზე“. ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის ეს ქების სიტყვები, რაც მან ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე თქვა, დიდი კმაყოფილებით მიიღეს ქართველმა ელმავალმშენებლებმა. ამ დღეებში კი ქარხნის უზარმაზარ კორპუსებს მოედო აღმაფრთოვანებული ცნობა, ქარხანას ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი ესტუმრებაო. საწარმოს მუშებმა და მოსამსახურეებმა სიყვარულით მორთეს ქარხნის ტერიტორია ალმებით, ყვავილებით. ტრანსპარანტებზე წარწერილი იყო მხურვალე, გულის სიღრმიდან მომდინარე სიტყვები: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ნიკიტა სერგის-ძევი!“, „ნ. ს. ხრუშჩოვი საქართველოს ყველაზე ძვირფასი სტუმარია“.

გამოჩნდა ღია მანქანა. ნიკიტა სერგის-ძე გადმოდის მანქანიდან, მიესალმება ქარხნის დირექტორს ი. ზერეკიძეს, შედის საამქროში. აქ ჩვეულებრივი შრომითი დღეა. მუშებმა წუთით შეწყვიტეს მუშაობა და ერთსულოვნად უკრავდნენ ტაშს სასურველ სტუმარს. ნიკიტა სერგის-ძე გულითადად უპასუხებდა მისალმებებზე. ნ. ს. ხრუშჩოვმა გაიარა საამქროში, შეჩერდა ხან ერთ, ხან მეორე სამუშაო ადგილთან, მიესალმა მუშებს, მოულოცა დღესასწაული — საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავი. ძნელი სათქმელია, თუ რამდენი მოკლე, გულითადი საუბარი გაიმართა მუშებისათვის ამ ღირსსახსოვარ დღეს. ნიკიტა სერგის-ძეს მარტოოდენ წარმოების მუშაკთა შრომითი წარმატებანი როდი აინტერესებდა. კადრის მუშა გ. ბერიაშვილთან საუბარში ნ. ს. ხრუშჩოვი დაინტერესდა მისი ოჯახით, იმით, თუ რამდენი ხანია მუშაობს ქარხანაში, როგორი საცხოვრებელი ფართობი აქვს, მატერიალურად როგორ არის უზრუნველყოფილი. ძნელია იმ მღელვარების გადმოცემა, რომელმაც მოიცვა მრანდავი ვ. პოხვიშჩივი,

როცა მასთან ნიკიტა სერგის-ძე ხრუმჩოვი მივიდა. ახალგაზრდას სახე გაუბრწყინდა. მასსა და ნ. ს. ხრუმჩოვს შორის გულში ჩამწვდომი საუბარი გაიმართა.

— ამ ჩარხს კარგად ვიცნობ, — თქვა ნ. ს. ხრუმჩოვმა და მიუთითა სატეხ ჩარხზე, რომელზეც ნ. პოხვიშჩევი მუშაობს. — ახალგაზრდობისას, როცა ზეინკალი ვიყავი ბოსის ქარხანაში, ახლა ეს ქარხანა ლენინური კომკავშირის 15 წლისთავის სახელობისაა, ასეთ ჩარხებთან მქონდა საქმე. ამ ჩარხების პროდუქტიულობა ძალზე დაბალია. დიდი ხანია დროა, შეეცვალათ ისინი.

ნიკიტა სერგის-ძემ ყურადღება მიაქცია ელმავლებს, რომლებიც უკვე გამზადებულია. მაგისტრალზე გასასვლელად დგას ახალი საღებავებით მოელვარე ლამაზი ტ-მ. ეს ელმავალი საწარმოს კოლექტივის საჩუქარია ღირსშესანიშნავი თარიღისათვის.

ქარხნის დათვალიერება დამთავრდა. ნ. ს. ხრუმჩოვი და მისი თანმხლები პირები გამოვიდნენ ქარხნის ეზოში, სადაც უამრავი ხალხი იყო. საწარმოში ყოფნის სახსოვრად ნიკიტა სერგის-ძეს უძღვნეს სამახსოვრო ნიშანი, რომელზეც გამოსახულია ელმავალი. ნიკიტა სერგის-ძემ მადლობა გადაიხადა, შემდეგ კი საწარმოს ხელმძღვანელობას გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებანი და შენიშვნები. მან შეაქო საწარმოს პროდუქცია, ამავე დროს ყურადღება მიაქცია იმას, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს ტექნოლოგიური პროცესი. ყველაფერი ნაკადურ წარმოებაზე უნდა გადავიყვანოთ. თუ გონივრულად არ გამოვიყენებთ ტექნიკას, ვერ მივალწევთ შრომის ნაყოფიერების გადიდებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

ქარხნის მუშები გულთბილად გამოეთხოვნენ ძვირფას სტუმარს, უსურვეს ჯანმრთელობა და წარმატება საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ.

მსმენელები ყურადღებით უსმენდნენ ს. გამრეკელს. აგიტატორის საუბრის შემდეგ მსმენელებს ესაუბრა ქარხნის ამწყობი საამქროს უფროსი ინჟინერი ზ. ჩივაძე, რომელსაც დამსწრენი დიდი ყურადღებითა და ინტერესით უსმენდნენ. ამ დიდი და საპატიო ამოცანის შესრულებისათვის, — თქვა

მან, — საამქროს კოლექტივი მტკიცედ არის დარაზმული. უნდა შევძლოთ სერიული ელექტრომაგლების აწყობის გეგმის შესრულება და ამასთან უზრუნველვყოთ ახალი კონსტრუქციის ლოკომოტივის აწყობაც. ეს იოლი ამოცანა როდია, მაგრამ კოლექტივი წარმატებით გაართმევს თავს.

საუბრის შემდეგ მსმენელებმა თხოვეს აგიტატორს მოეწყო კოლექტიური სვლა საწარმოში. რამდენიმე დღის შემდეგ ისინი ქარხანაში იყვნენ. დიასახლისებმა, პენსიონერებმა და მოხუცებმა დაათვალიერეს საწარმო, გაეცნენ მაღალი ძაბვის საკნებში სამონტაჟო სამუშაოთა შემსრულებლების ალექსანდრე მერაბიშვილის და ჯუმბერ მესტიაშვილის ელექტროზენკალთა მოწინავე ბრიგადის წევრებს, დაინტერესდნენ, როგორი იქნება ახალი კონსტრუქციის ლოკომოტივი. ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ა. მასხარაშვილმა მათ უამბო ამის შესახებ. ახალი თბილისური ელექტრომაგალი „ტ-8“ არსებული სერიის ელექტრომაგლებზე 10 ტონით მსუბუქი და 25 პროცენტით მძლავრი იქნება. ერთ-ერთი მთავარი სიახლე, რაც მასზე განხორციელდება, ის არის, რომ წვევის ძალის გადაცემა აქ მოხდება არა ურიკით, როგორც წინანდელ ელექტრომაგლებზე, არამედ თვლებს გადაეცემა ურიკაზე დაყრდნობილი ჩარჩოთი. ამ გადაცემით პრინციპული სქემის შეცვლამ საშუალება მისცა ჩვენს კონსტრუქტორებს 10 ტონით შეემცირებინათ საჭირო ლითონის ხარჯი.

მსმენელებმა ბევრი ახალი და სასარგებლო გააგეს. დიდია ასეთი საუბრების შემეცნებითი და აღმზრდელი მნიშვნელობა. შემთხვევითი როდია, რომ მორიგ საუბარზე აგიტატორს ერთ-ერთმა მსმენელმა ასეთი შეკითხვა მისცა:

— ჩვენ გავეცანით ელექტრომაგალსაშენებელი ქარხნის მუშაობას. დიდი და შესანიშნავია მათი შრომის შედეგი, მაგრამ ჩვენ, დიასახლისებს, არ გვინდა, რომ განზე ვიდგეთ. ყველა შრომობს კომუნისთვის, ჩვენ ხომ არ ვიქნებით უსაქმოდ?


აგიტატორმა დასაწყისისთვის მცირე დავალება მისცა, — მათ მონაწილეობა უნდა მიეღოთ საცხოვრებელი სახლის

ეზოსა და ახლომახლო ქუჩების სისუფთავის დაცვაში, მოევლოთ ნარგავებისათვის.

ისეთი აგიტატორები, როგორც ს. გამრეკელია, არ კმაყოფილდებიან თავიანთი ცოდნით, განუწყვეტლივ აგროვებენ ფაქტებს, ციფრებს — ყველაფერს, რაც უფრო საინტერესოს გახდის საუბრებს.

სამგორის მერძვევობის საბჭოს მეურნეობაში აგიტატორის ინიციატივით საინტერესო ღონისძიება განხორციელდა. მეურნეობის ეზოში შეიკრიბნენ გარდაბნელი და კალინინელი კოლმეურნეები, რუისბოლოელი მერძვევები და მებოსტნეები, გარდაბნის სასურსათო ქარხნის მუშა-მოსამსახურეები. შეკრებილნი თბილისიდან სტუმრად მოელოდნენ სოფლის მეურნეობისა და ვეტერინარიის გამოჩენილ ქართველ მეცნიერებს, რომლებიც მათ თეორიული ცოდნის გადრმავებასთან ერთად პრაქტიკულ დახმარებასაც გაუწევდნენ. მალე შარავზაზე მანქანების კოლონა გამოჩნდა. რამდენიმე წუთში სტუმარ-მასპინძლები გულითადად ართმევდნენ ხელს ერთმანეთს. მეურნეობაში მოვიდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ნ. ხომიზურაშვილი, მეცხოველეობის განყოფილების გამგე აკადემიკოსი ს. ერქომაიშვილი, ქართული ცხვრის ახალი ჯიშების გამოყვანის ცნობილი სპეციალისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი, მეცნიერებათა დოქტორი ა. ნატროშვილი, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის კათედრის გამგე პროფესორი ა. კიზირია. კოლმეურნეები ყურადღებით ისმენდნენ მათ გამოსვლებს. განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ს. მაჰმუდოვის მოხსენება: „მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის გადაწყვეტილებათა შესაბამისად“. აგიტატორის ეს ინიციატივა დიდხანს ემახსოვრებათ კოლმეურნეებს, დიასახლისებს.

საუბრის მოწყობისას ადგილობრივი თემებისა და ამოცა-



ნების გათვალისწინებას ყოველთვის დიდი წარმატება აქვს ადგილობრივ მოსახლეობაში. პოლიტიკური აგიტაციის მიზანი და დანიშნულება სწორედ ის არის, რომ გააღვიძოს მათი ინტერესი ყოველდღიური ცხოვრებისადმი. წინასწარ შედგენილ გეგმასთან ერთად აგიტატორმა ცხოველი ინტერესი უნდა გამოიჩინოს ყველა საკითხზე, რომელიც აღელვებს მსმენელებს, ყურადღება მიაქციოს ადგილობრივად მომხდარ ყველა ამბავს — ეს წარმატების მიღწევის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ფაქტორია.

შეუძლებელია ყველა იმ თემის ჩამოთვლა, რომლებსაც აგიტატორი შეიძლება გამოეხმაროს. ახალი ქარხნის მწყობრში ჩადგომა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დაწყება და სხვ. საინტერესო ადგილობრივი თემებია, რომლებიც მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებასთანა დაკავშირებული. ადგილობრივი თემების შერჩევისას დიდი ყურადღება ეთმობა კულტურულ-საყოფაცხოვრებო საკითხებს. ისეთი თემები, როგორცაა „ბავშვების აღზრდა სკოლაში“, „ვიცოთ კულტურული ყოველთვის და ყველგან“, „დავიცვათ სოციალისტური თანაცხოვრების წესები“ პოპულარობით სარგებლობენ მოსახლეობაში, მით უმეტეს, თუ ისინი განმტკიცებულია კონკრეტული ადგილობრივი მასალებით. ვარაზისხევის ქუჩაზე ერთ-ერთი ხუთსართულიანი სახლის საქვაბე გადავიდა გაზით გათბობაზე. ეს თითქოს, ერთი შეხედვით, არცთუ ისე დიდი მოვლენაა, მაგრამ აგიტატორმა სულ სხვაგვარად შეხედა ამ ფაქტს. იგი ესაუბრა მსმენელებს თბილის-ყარადაღის გაზსადენის მშენებლობაზე, ქალაქის გაზიფიკაციაზე, ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მოსახლეობის უზრუნველყოფა იაფი, მოხერხებული საწვავით მშობლიური კომუნისტური პარტიის ზრუნვის ერთ-ერთი გამოხატულებაა. აგიტატორმა უნდა შეძლოს, რომ ყველა თემაზე, მათ შორის ადგილობრივ თემაზე, საუბრისას განაზოგადოს, აიყვანოს იგი დიდ პოლიტიკურ და სამეურნეო მნიშვნელობის სიმაღლეზე. აუცილებელია დავარწმუნოთ მსმენელები, რომ მათი ყოველდღიური ცხოვრება, ადგილზე,



მომხდარი ფაქტი შეადგენს ჩვენი დიდი ცხოვრების ორგანულ და შემადგენელ ნაწილს.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით საგრძნობლად ძლიერდება სააგიტაციო მუშაობა მოსახლეობაში. თბილისში ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მოთავსებულ აგიტპუნქტში აგიტატორებმა დროულად დაამთავრეს კედლის გაზეთის „ამომჩიველის ხმის“ გამოშვება. მასში მოთავსებული იყო მშრომელთა წერილები. ამომჩიველები ხალისით მიდიოდნენ აგიტპუნქტში, კითხულობდნენ ჟურნალ-გაზეთებს. ფალიაშვილის ქუჩის № 66 სახლის მცხოვრებლები კარგად იცნობენ აგიტატორ ე. მაისურაძეს. იგი გასაგები ენით ესაუბრება მსმენელებს. პირველი საუბარი ი. მეზვრიშვილის ოჯახში გამართა. აქ შეიკრიბნენ ქართველები, რუსები, სომხები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები. საუბრის შემდეგ მსმენელმა ა. მირიანაშვილმა წინადადება წამოაყენა, რომ აგიტატორმა არჩევნების შემდეგაც განაგრძოს საუბრების მოწყობა, რადგან დიასახლისებს ძალიან აინტერესებთ ჩვენი ქვეყნის მიღწევები და საერთაშორისო ამბების გაცნობა. ეს წინადადება, რომელიც მსმენელმა წამოაყენა, მეტად საგულისხმოა. პოლიტიკური მუშაობა მოსახლეობაში საარჩევნო კამპანიის დამთავრების შემდეგაც უნდა გაგრძელდეს. აგიტატორებმა იციან, რომ დროულად მოყვანილ საინტერესო ფაქტს ძალიან ბევრის თქმა შეუძლია. პირადი პრაქტიკა არწმუნებს მათ, რომ ყველაზე ქმედითი აგიტაცია არის აგიტაცია მაგალითებით, რომლებიც სინამდვილიდანაა აღებული. საუბარი ყველაზე გასაგები მაშინაა, როდესაც იგი აგებულია ადგილობრივი სინამდვილიდან აღებულ კონკრეტულ ფაქტებზე. უნდა ვეცადოთ, რომ თვითეული საუბარი, თვითეული ხმამაღალი კითხვა განმტკიცებული იყოს კონკრეტული მაგალითებით. როდესაც ეს ბუნებრივად ერწყმის საუბარს, პოლიტიკური მუშაობა აუცილებლად მოგვცემს კონკრეტულ შედეგებს. კომუნისტური პარტია აგიტატორებისაგან მოითხოვს, რომ მათი საუბრები იყოს ღრმაშინაარ-



სიანი, ეწყობოდეს ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში, გასაგებად და საინტერესოდ.

აგიტატორი გ. მგალობლიშვილი მოსახლეობაში საუბრისას კარგად იყენებს ადგილობრივ ფაქტებს და მასალებს, ყოველთვის მონდომებით ემზადება მსმენელებთან შეხვედრისათვის. მისი ერთ-ერთი საუბარი შეეხებოდა იმ დიდ ამოცანებს, რომლებსაც კომუნისტური პარტია აყენებს სოფლის მშრომელთა წინაშე. მან მოხერხებულად დაუკავშირა თემა მსმენელებისათვის კარგად ცნობილ 26 კომისრის სახელობის მანქანათსაშენებელ ქარხანას. მან იცის, რომ ადგილობრივი ფაქტები, რომლებსაც ცხოვრება კარნახობს, დიდი დამარწმუნებელი ძალისაა, რომ აუცილებელია მოუთხრო მსმენელებს იმის შესახებ, თუ როგორ გაიზარდა, დამშვენდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში თვითეული რესპუბლიკა, ქალაქი, ქარხანა, ფაბრიკა. გ. მგალობლიშვილმა საფუძვლიანად შეისწავლა 26 კომისრის სახელობის ქარხნის წარსული, მისი დღევანდელი დღე. საუბარი უშუალოდ საწარმოში მოეწყო.

თქვენ ახლა შესცქერით ლითონის ლამაზ მესერს, — უამბობდა იგი მსმენელებს, — ახალ კორპუსებს. ადრე ამ ადგილზე ქუჩის პირას იყო ყაზარმა, სადაც 1915—1916 წლებში ამიერკავკასიის მესანგრეთა ათასეული იდგა. აქ მომუშავე 45 კაცი კავკასიის ფრონტიდან ჩამოტანილ დაზიანებული ავტომობილების შეკეთებას აწარმოებდა. მათ ადამიანურ შრომაზე, არჩევნებში მონაწილეობაზე ოცნებაც კი არ შეეძლოთ. ახლა კი ამ მიდამოზე მანქანათმშენებლები ახალ ტექნიკას ქმნიან კვების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის. მაშინდელი 45 მუშის ნაცვლად 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში ასობით მუშა-მოსამსახურე, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი შრომობს. ყურადღებით უსმენდნენ აგიტატორს დიასახლისები ე. კორძაძე, ვ. მათევოსიანი, ლ. საბანაძე და სხვები. აგიტატორი კვ განაგრძობს: — მანქანათმშენებლები ყოველდღიურად იბრძვიან სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მანქანების წარ-



მოების გასაზრდელად. განსაკუთრებული შრომითი აღმაქ-
ლობა იგრძნობა აქ ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის
მეურნეობის მოწინავეთა თათბირის შემდეგ. საბჭოთა კავში-
რის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირვე-
ლი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის
ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მკაფიო, დამაჯერებელმა სიტყვამ ახა-
ლი ძალა შემატა მანქანათმშენებლებს. თბილისის საქალაქო
საბჭოს დეპუტატები ნინო გვენცაძე და ზოია რიაზანცევა
სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავ შრომით ვახტზე დგანან და
ყოველდღიურ გეგმებს 200 პროცენტით ასრულებენ.

აგიტატორი გ. მაგალობლიშვილი 80 დიასახლისს ემსა-
ხურება. ყველანი პატივს სცემენ გულისხმიერ, მცოდნე და
თავისი საქმის მოყვარულ აგიტატორს, რომელიც ყოველ-
თვის საინტერესო, მიმზიდველ საუბრებს აწყობს.

ფაქტები საუბრისათვის უნდა ავარჩიოთ საქმის ცოდ-
ნით. არ არის მიზანშეწონილი გამოვიყენოთ შემთხვევითი
მაგალითები. იმ უამრავი ფაქტებიდან, რომლებითაც საესეა
ცხოვრება, უნდა შევარჩიოთ მხოლოდ ყველაზე ნათელი,
მრავლისმეტყველი და შთამბეჭდავი. იმისათვის, რომ მუდ-
მივად გვქონდეს მასალა საუბრისათვის, ბევრ აგიტატორს
აქვს სპეციალური საქალაქო, რომელშიც შენახული აქვს
ამონაჭრები გაზეთებიდან. საქმის მოყვარულ აგიტატორს
აუცილებლად აქვს უბნის წიგნაკი, სადაც შეაქვს საინტერე-
სო მაგალითები, ციფრები, ფაქტები. საჭიროა სისტემატუ-
რად მოვავროვოთ მასალა ცალკეული თემების მიხედვით,
ყოველთვის თან გვქონდეს იგი. ადგილობრივი თემები და
ფაქტები კიდევ უფრო გასაგებს და ქმედითს ხდიან პოლი-
ტიკურ აგიტაციას მოსახლეობაში.

გავალვივოთ საბჭოთა პატრიოტიზმის ბრძნობა

საბჭოთა ადამიანები კანონიერად ამაყოფენ შესანიშნავ
გამარჯვებებით კომუნისმის მშენებლობაში. ისინი მოპოვე-
ბულია კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის

ხელმძღვანელობით, რომელსაც სათავეში უდგას ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი. სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის პირველ ორ წელს მიღწეულია უდიდესი წარმატებანი სოციალისტური მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, მეცნიერებისა და კულტურის, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის ამაღლებაში. მტკიცე საფუძველი ჩაეყარა შვიდწლედის ვადამდე შესრულების საქმეს. საბჭოთა ადამიანების შრომით შვიდწლელი თავის გამოსახულებას პოულობს მილიონობით ტონა ლითონში, ნავთობში, ქვანახშირში, ხორბალში, ხორცში, რძეში, ახალ ავტომატურ ხაზებში, დაზგებში. საუბრები, ლექციები, მოხსენებები, რომლებიც მოსახლეობაში ეწყობა, თვალნათლივ უნდა ასახავდნენ სოციალისტური წყობის უპირატესობას კაპიტალისტურთან შედარებით, უნდა უღვიძებდნენ საბჭოთა ადამიანებს კანონიერი პატრიოტიზმის გრძნობას თავისი მძლავრი სამშობლოსადმი, დიდი საბჭოთა ხალხისადმი, რომელიც მსოფლიოში ჯერ არნახული ტემპებით აშენებს კომუნისმის ნათელ შენობას. იდეოლოგიური ფრონტის მუშაკების ვალია ყოველი ღონისძიებით გააღვივონ მშრომელებში საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობა. საბჭოთა ადამიანების აღზრდა სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების გრძნობით—მათი საპატიო მოვალეობაა. რა გზით შეიძლება ამ დიდი ამოცანის წარმატებით განხორციელება? აგიტატორთა მრავალათასიანმა არმიამ ამ საქმეში დიდი გამოცდილება დააგროვა. პირველყოვლისა საჭიროა მსმენელებს გავაცნოთ ის გრანდიოზული მიღწევები კულტურულ-სამეურნეო მშენებლობაში, რომლებიც საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვა. აგიტატორებმა, რომლებიც მოსახლეობაში მუშაობენ, მსმენელებს უნდა უჩვენონ, რომ ახლა, როდესაც ჩვენი ქვეყანა შევიდა კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში, საბჭოთა ხალხი წყვეტს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ამოცანებს, რომ გიგანტური ტემპებით იზრდება სახალხო მეურნეობის ყველა დარგი.

საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობის აღზრდისას დიდ როლს ასრულებს რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, ქალაქისა და რაიონის ცოდნა. დედაქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მოწყობისას დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ იმას, რომ მშრომელები ზედმიწევნით იცნობდნენ ჩვენს დიად სამშობლოს. მუშათა კლუბებში, წითელ კუთხეებში, სამკითხველოებში, აგიტპუნქტებში ასობით აგიტატორი აწყობს საუბრებს, ლექციებს საბჭოთა კავშირის შესახებ. ისინი მოუთხრობენ მოსახლეობას, თუ როგორ იზრდება ყოველდღიურად მშრომელთა კეთილდღეობა მათი გმირული შრომის შედეგად. კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა მიიღებს ქვეყნის განვითარების ახალ პროგრამას, რომლის ძირითადი საკითხებია ქვეყნის მთლიანი ელექტროფიკაცია, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა.

ელექტროფიკაცია, კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ყველაზე მაღალ დონეს, რომელიც საჭიროა კომუნიზმის გამარჯვებისათვის, შექმნის საწარმოო ძალების განვითარების ამოუწურავ შესაძლებლობებს. კომუნისტური მშენებლობის პროცესში იზრდება ახალი ადამიანი, რომელიც შეგნებულად, თავისი შესაძლებლობისა და უნარის მიხედვით მუშაობს საზოგადოებისათვის.

ისინი, ვინც უსწრებს დროს, ცდილობს ვადამდე შეასრულოს შეიღწეულის დავალებანი, ვინც თავდადებულად ემსახურება სამშობლოს არქტიკაში და ანტარქტიკაში, ვინც ტოვებს კეთილმოწყობილ ბინას და დაუღალავად ეძებს ციმბირის გამოუყენებელ სიმდიდრეებს, ვინც ნაკლებხელფასიან სამუშაოზე გადადის, რათა წამოსწიოს ჩამორჩენილები, არიან კომუნიზმის შეგნებული მშენებლები, გაგანოველები, კომუნისტური შრომის ბრიგადების წევრები. საბჭოთა ადამიანების გმირობით, მათი ხასიათის სიმტკიცითა და სიდიადით განცვიფრებულია მთელი მსოფლიო. საქვეყნოდ გაითქვეს სახელი ოთხმა საბჭოთა მეზღვაურმა, რომლებიც 49 დღის განმავლობაში შეუპოვრად ებრძოდნენ ოკეანის სტიქიას,

პირველმა კოსმონავტმა. ი. გაგარინმა და მრავალმა სხვამ. მათ გმირობაში გამოხატულება ჰპოვა მეგობრობამ, ვაჟკაცობამ, გამძლეობამ, კოლექტივიზმის გრძნობამ, სამშობლოს წინაშე მოვალეობის შესანიშნავმა გაგებამ.

მოსახლეობაში პოლიტიკური აგიტაციის დროს საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომა და ბრძოლა ნათელი კონკრეტული მაგალითებით უნდა ვუჩვენოთ. საბჭოთა კავშირის მიღწევები უდიდეს გავლენას ახდენენ მსოფლიოს ყველა ქვეყნისა და კონტინენტის მშრომელებზე. აგიტატორებმა მკაფიოდ უნდა მოუთხრონ მოსახლეობას იმ დიდი ბრძოლის შესახებ, რომელსაც ჩვენი ქვეყანა ეწევა კოლონიალიზმის, ახალი ომის იმპერიალისტ გამჩალებელთა წინააღმდეგ, იმის შესახებ, რომ სოციალიზმი არის ერთადერთი სისტემა, რომელსაც ადამიანებისათვის მშვიდობა და ბედნიერება მოაქვს. მსოფლიოს ყველა კუთხეში სულ უფრო მეტი ადამიანები რწმუნდებიან, რომ მხოლოდ კომუნიზმია ყველაზე ჰუმანური სოციალური წყობა.

თვითეული აგიტატორი, რომელიც მოსახლეობაში მუშაობს, მოვალეა წვლილი შეიტანოს კომუნიზმის მშენებლობაში, თავდადებით იბრძოლოს თავის უბანზე, მთელი ცოდნა და ენერჯია მოახმაროს შვიდწლედის ვადამდე შესრულებისათვის მშრომელთა დარაზმვას. კომუნისტური მშენებლობის ყველა მონაწილე ღრმად უნდა იცნობდეს კომუნისტური პარტიის პოლიტიკის არსს, სწავლობდეს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებს, შეეძლოს მათი პრაქტიკულად გამოყენება.

ადგილობრივი ინტელიგენციის, მეცნიერული და კულტურული ძალების მოზიდვით, მათი გამოყენებით, შესაძლებელი იქნება მოსახლეობას ვუჩვენოთ საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის მიღწევები. მარქსიზმ-ლენინიზმი ჩვენი ეპოქის შუქურაა, რომელიც გზას უნათებს კაცობრიობას ნათელი, ბედნიერი მომავლისაკენ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, ამბობს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, რომ კაცობრიობის ოცნება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის შესახებ სინამდვილედ იქცევა. ჩვენ ვუსურვებთ ყველა ადამიანს —

თეთრკანიანებს, ყვითელკანიანებს — დადგენენ კომუნისტური დროშის ქვეშ, ამ დროშის ქვეშ ყველასათვის აღმოჩნდება ადგილი. და რაც უფრო მალე მოხდება ეს, მით უფრო უკეთესი იქნება ყველა ხალხისათვის, მთელი მსოფლიოსათვის.


მიმდინარე ამბავს შეუნაღებელი ყურადღება

საბჭოთა ადამიანებმა, ისე როგორც მსოფლიოს ყველა მშრომელმა, კარგად იციან, თუ რა არის ომი, რა უბედურება და ტანჯვა მოაქვს მას ხალხისათვის, რა კოლოსალური ნგრევა შეუძლია გამოიწვიოს. შემთხვევითი როდია, რომ საბჭოთა ადამიანები ღრმა ინტერესს იჩენენ საერთაშორისო ცხოვრებაში მომხდარ უმნიშვნელოვანეს ამბებისადმი. მათ აღლევებას და აღშფოთებას იწვევს მშვიდობის მტრების საქმიანობა აგიტატორებს აძლევენ მრავალ შეკითხვას სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკისა და შინაპოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. მშრომელთა ინტერესის სფერო მეტად ფართოა. მათ აინტერესებთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მე-15 სესიის მუშაობის ამბები. როგორც ცნობილია, სესიის პირველი ნაწილი ფრიად მნიშვნელოვანი იყო. სესიის ყურადღების ცენტრში იდგა საკითხები, რომლებიც წამოაყენა საბჭოთა დელეგაციამ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით. ეს იყო საყოველთაო და სრული განიარაღების, კოლონიური სისტემის ლიკვიდაციის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აღმასრულებელი ორგანოების სტრუქტურის შეცვლის, კონგოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის, ამ ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენის საკითხები.

საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის არსის განმარტება წარმოადგენს მოსახლეობაში სააგიტაციო მუშაობის უმნიშვნელოვანეს ამოცანას. საჭიროა გულდასმით, ნათლად ავუხსნათ მშრომელებს ომისა და მშვიდობის საკითხები, სოციალიზმის ბანაკის ქვეყნების

ბრძოლის მნიშვნელობა მშვიდობის შენარჩუნებისათვის. უნებლიეთ იბადება კითხვა, განა კაცობრიობის გენიას, რომელიც სულ უფრო ღრმად სწვდება ბუნების საიდუმლოებებს, არ შეუძლია შეაჩეროს მკვლელთა ხელი, თავიდან აიცილოს ახალი მსოფლიო ომი? რა თქმა უნდა, შეუძლია. თანამედროვე პირობებში, როდესაც სოციალიზმისა და მშვიდობის ძალები სჭარბობენ კაპიტალიზმისა და ომის ძალებს, მსოფლიო ომის ფატალური გარდუვალობა არ არსებობს. კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის 1960 წ. თათბირის მასალებში ნათქვამია: — ჩვენ, კომუნისტებს, უწმინდეს მოვალეობად მიგვაჩნია გავაკეთოთ ყველაფერი იმისათვის, რომ ვიხსნათ კაცობრიობა თანამედროვე ომის საშინელებათაგან. ისტორიული ბრძოლა ახალსა და ძველს, სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის უნდა გადაწყდეს არა მსოფლიო ომით, არამედ ეკონომიური შეჯიბრებით. ჩვენს ეპოქაში ხალხებს, სახელმწიფოებს აქვთ მხოლოდ ერთი არჩევანი: ან მშვიდობიანი შეჯიბრება სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის, ან გამანადგურებელი ატომური ომი, სხვა გზა არ არსებობს.

საბჭოთა ხალხის შეურყეველი აზრი, რომ ახალი მსოფლიო ომი შეიძლება თავიდან იქნას აცილებული, ეყრდნობა სოციალიზმის ბანაკის მშვიდობისმოყვარული ძალების სულ უფრო მზარდ ძლიერებას. მიმდინარე პოლიტიკაზე საუბრისას აგიტატორებმა უნდა იცოდნენ, რომელ საკითხებზე გაამახვილონ ყურადღება. ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული ყოველკვირეული მიმოხილვები. კარგი იქნება, თუ აგიტატორს შედგენილი ექნება დროის გარკვეული მონაკვეთის მანძილზე მომხდარი უმნიშვნელოვანესი ამბების მოკლე ჩანაწერები, მიმდინარე პოლიტიკის საკითხებზე საუბრის შემდეგ წაიკითხავს გაზეთებიდან ყველაზე საინტერესო ამბებს. საერთაშორისო ამბებზე საუბრისას საჭიროა ფართოდ გამოვიყენოთ ახსნა-განმარტების ყველა ფორმა, უზრუნველყოთ მსმენელთა დასწრება, უნდა დავინტერესდეთ როგორი განწყობილება შეიქმნა მათში. რამდენიმე აგიტატორს, რომ-



ლებიც მუშაობენ მახლობელ სახლებში ან ქუჩებში, შეუძლიათ მოილაპარაკონ და თავიანთი მსმენელებისათვის მოსწყონ კვალიფიციური ლექცია, ურჩიონ, რომელი სტატიები, ბროშურები წაიკითხონ მათთვის საინტერესო ამბებზე. საკითხების წრე, რომლითაც მოსახლეობა აგიტატორს მიმართავს, არ ამოიწურება საერთაშორისო ამბებით. ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება სავსეა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენებით და მოსახლეობას დიდი სურვილი აქვს, ღრმად და დაწვრილებით იცოდეს მათ შესახებ.

ბოლშევიკური აგიტაცია მოწოდებულია დააკმაყოფილოს ხალხის ეს სურვილი ამომწურავად. აუცილებელი არაა, რომ აგიტატორმა მსმენელთა შეკითხვებზე პასუხი გასცეს დაუყოვნებლივ. ზოგიერთ კითხვაზე პასუხის გაცემას გულმოდგინე მუშაობა სჭირდება. ეს სირცხვილი როდია. აგიტატორს ყოველგვარი ყოყმანის გარეშე შეუძლია თამამად თქვას, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ამჟამად არ შეუძლია, უმოკლეს დროში კი ყველაფერს აუხსნის. მაგრამ მან თავი არ უნდა აარიდოს შეკითხვებს. ეს დაუშვებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსახლეობის თვალში იგი ნდობას და ავტორიტეტს დაკარგავს.

II. სრულყოფილ საპიტიაციო მუშაობის ფორმები


აგიტატორს მინდობილი აქვს დიდმნიშვნელოვანი უბანი — ადამიანთა აღზრდა. ამ საქმეში წარმატების მოპოვება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ კარგად იცნობ ადამიანებს, რომლებთანაც გიხდება მუშაობა, იცნობ მათ ხასიათს, ინტერესებს, მონაცემებს და ცოდნის დონეს. ზოგჯერ აგიტატორი სწორად განმარტავს რთულ, მნიშვნელოვან საკითხს, მაგრამ მსმენელები მძიმედ ითვისებენ მის საუბარს. მიზეზი ისაა, რომ აგიტატორს არ უფიქრია ყველაზე მთავარზე — როგორ მიეწოდებინა მასალა მსმენელთათვის, არ უფიქრია გადაცემის

ფორმებზე, რაც საშუალებას მისცემდა დამსწრეთ უკეთ და ადვილად გაეგოთ მისთვის. თვითეულმა აგიტატორმა, ვიდრე გაემართებოდეს საუბრისათვის მოსახლეობაში, თავის წინაშე უნდა დააყენოს კითხვა: თვითონ მოუხმენდა თუ არა იმას, რაც მან უნდა უამბოს სხვებს? თუ ასეთ დროს ეჭვი დაეზადება, მაშინ, ცხადია, თემა საკმაოდ არ არის დამუშავებული, არაა გამონახული მისი გადაცემის ხერხი. ასეთ დროს საუბარი ფორმალური ხდება, არავითარ კვალს არ ტოვებს მსმენელთა მეხსიერებაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „თანამედროვე პირობებში პარტიული პროპაგანდის ამოცანების შესახებ“ აღნიშნულია, რომ კომუნისტური იდეოლოგიის პროპაგანდა მიმზიდველი, საინტერესო უნდა იყოს თავისი ფორმებითა და მეთოდებით, უნდა ჰქონდეს ცოცხალი, გამომსახველი და ქმედითი ხასიათი, უნდა დაეხმაროს ადამიანს სწორად გაიგოს და შეაფასოს საზოგადოებრივი მოვლენები, აქციოს კომუნისტური მორალის პრინციპები ყოველდღიური საქმიანობის საფუძვლად. იმისათვის, რომ აგიტატორის სიტყვა მკაფიო და დამაჯერებელი იყოს, საჭიროა სწორად გამოვიყენოთ ყველა ის მდიდარი ფორმები, რომლებიც დაგროვილია ბოლშევიკური აგიტაციის გამოცდილების არსენალში. ყოველივე ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს აგიტატორისათვის, რომელიც მოსახლეობაში მუშაობს, რადგან მისი აუდიტორია ნაკლებად მომზადებულია პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით. ამიტომ მუშაობის ფორმები უფრო მრავალფეროვანი, მოქნილი უნდა იყოს. აქ უკვე დიდ როლს თამაშობს აგიტატორის გამოცდილება. მან მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მრავალრიცხოვანი ხერხებიდან უნდა შეარჩიოს ყველაზე ქმედითი, რომელიც ხელს შეუწყობს მსმენელებს უკეთ აითვისონ კომუნისტური პარტიის პოლიტიკა, სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის გაჩაღებული ბრძოლის ისტორიული მნიშვნელობის არსი.



აგიტატორი უნდა ცდილობდეს, რომ საუბრის შემდეგ დაიწყოს კამათი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ამის მიღწევა სხვადასხვა ხერხით შეიძლება. გამოცდილი აგიტატორი არასოდეს არ დაიწყებს საუბარს, თუ წინასწარ არ ეცოდინება რა მოხდა ახალი მისი მსმენელების ცხოვრებაში ბოლო შეხვედრის დღიდან, რა საკითხები აინტერესებთ, რატომ არ ესწრება საუბარს ესა თუ ის ამხანაგი.

პოლიტიკური აგიტაციის მრავალრიცხოვან ფორმებს შორის პირველი ადგილი ჯგუფურ და ინდივიდუალურ საუბრებს უკავია. ეს იმით აიხსნება, რომ საუბარი აგიტაციის ყველაზე გავრცელებული ფორმაა, ამასთან მას უპირატესობა ეძლევა მოსახლეობაში სააგიტაციო მუშაობის თავისებურების გათვალისწინების თვალსაზრისითაც. აგიტატორს, რომელიც მოსახლეობაში მუშაობს, ჩვეულებრივ საქმე აქვს მცირერიცხოვან ჯგუფთან, ზოგჯერ ოთხ-ხუთ კაცთან. ასეთ შემთხვევებში უკეთესია ჯგუფური, ინდივიდუალური საუბრები. გულახდობლივად უნდა ვთქვათ, როგორც არ უნდა იყოს მოწყობილი სააგიტაციო მუშაობა მოსახლეობაში, ჯგუფური საუბრის დროს თითქმის ვერასოდეს ვერ მოუყრით თავს ყველა მსმენელს, რომლებიც მრავალსართულიან სახლებში, საერთო საცხოვრებელში ან ერთ ქუჩაზე ცხოვრობენ. ყოველთვის აღმოჩნდებიან ქალები, რომლებსაც ჰყავთ პატარა ბავშვები, დიასახლისები, რომლებიც ამ დროს გადატვირთულნი არიან და ვერ მოვლენ. არიან სამამულო ომის ინვალიდები, ღრმად მოხუცი ადამიანები, რომლებსაც არათუ რამდენიმე კვარტალის გავლა, ერთი სართულიდან მეორეზე ასვლაც კი ეძნელებათ. ასეთ შემთხვევებში აგიტატორი მსმენელებს, რომლებმაც ამა თუ იმ მიზეზით ვერ მოახერხეს ჯგუფურ საუბარზე დასწრება, ინდივიდუალურად ესაუბრება. აი, აგიტატორი მოვიდა საუბრის მოსაწყობად. მსმენელებთან შეხვედრისას მან შეამჩნია, რომ დიასახლისები, რომლებიც პირველ სართულზე ცხოვრობენ, ვერ მიატოვე-



ბენ პატარა ბავშვებს, ხოლო სამამულო ომის ორი ინვალიდი და ერთი მოხუცი მესამე სართულზე ცხოვრობენ. მათთვის, რა თქმა უნდა, ძნელია სართულიდან სართულზე სიარული. ასეთ შემთხვევაში აგიტატორმა საუბარი ორჯერ უნდა მოაწყოს, პირველ სართულზეც და მესამე სართულზეც. ეს, რა თქმა უნდა, ბევრ დროს მოითხოვს, მაგრამ გამოსავალი არ არის.

როგორც წესი, საუბრის მოწყობის ვადა წინასწარ ინიშნება. ეს აგიტატორს საშუალებას აძლევს მოემზადოს. ხშირად არის შემთხვევები, როდესაც საუბრის თემა მოულოდნელად იცვლება. ამის მიზეზი შეიძლება გახდეს გაზეთის ახალ ნომერში გამოქვეყნებული ცნობა, რადიოთი გადმოცემული ამბავი. ბუნებრივია, ასეთი საუბარი სხვაგვარი ხასიათისაა, ვიდრე წინასწარ მომზადებული. შეიძლება საუბარი მოეწყოს მსმენელის მიერ დასმული კითხვის ირგვლივაც, რომელიც გამოწვეულია რაიონის, ქალაქის ცხოვრებაში მომხდარი სიახლით. თვითეული ასეთი საუბარი აგიტატორისაგან მოითხოვს ახალ ხერხებსა და მეთოდებს, თავისებურ მიდგომას.

საუბრის წარმატება მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ფლობს აგიტატორი მასალას, მის უნარზე გაითვალისწინოს მსმენელთა თავისებურება. არასოდეს არ უნდა მოხდეს, რომ საუბარმა ფორმალური ხასიათი მიიღოს, იქცეს მოხსენებად, რომელსაც ადამიანები მოწყენით, ხმისამოუღებლად უსმენენ. კარგად მომზადებული და სწორად აგებული საუბარი ყოველთვის დააინტერესებს მსმენელებს. ამიტომ აგიტატორი უნდა ეძებდეს მეთოდებსა და ხერხებს, რათა მაქსიმალურად განავითაროს დამსწრეთა პოლიტიკური აქტივობა. კავშირი აგიტატორსა და მსმენელებს შორის დამოკიდებულია აგიტატორის უნარზე — ისე წარმართოს საუბარი, რომ დამსწრენი მისი აქტიური მონაწილენი გახდნენ. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ აგიტატორ ა. ხახუბაძის მუშაობის გამოცდილება უკანასკნელი საარჩევნო კამპანიის დროს.

მოსახლეობის ერთ ჯგუფთან საუბრისას, სადაც თავი მოიყარეს ძირითადად უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებმა, მეტად საინტერესოდ ჩატარდა საუბარი კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირის მასალებზე. აგიტატორის შესავალი სიტყვის შემდეგ სიტყვა აიღო დიასახლისმა ლ. ჭუბაბრიამ. კაპიტალისტურ სამყაროში, — თქვა მან, — სულ უფრო მწვავედება კლასობრივი და ეროვნული ანტაგონიზმი, შინაგანი და გარეშე წინააღმდეგობანი. იმისათვის, რომ ეს წინააღმდეგობანი მიჩქმალონ, ბურჟუაზიის იდეოლოგები გაჰყვირიან, თითქოსდა თანამედროვე კაპიტალიზმი „სახალხო კაპიტალიზმი“ იყოს.

იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირი იძლევა საყოველთაო განიარაღების წინადადებას, — თქვა სამამულო ომის ინვალიდმა ვ. ქველიძემ, — თანმიმდევრულად ამცირებს შეიარაღებულ ძალებს, ამერიკის შეერთებული შტატები ეწევიან სამოქალაქო ეკონომიკის მილიტარიზაციას, რომელშიც ეკონომიური კრიზისისაგან თავის დაღწევის საშუალებას ხედავენ. აქედან ცხადია, რომ ამერიკის კაპიტალიზმი ლბობის პროცესს განიცდის. ასეთივე პროცესში იმყოფებიან ევროპისა და სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოები, რომლებზეც მიგვითითებს მოსკოვის თათბირის განცხადება,


ყველა აგიტატორს აქვს შესაძლებლობა საინტერესო გახადოს ჯგუფური და ინდივიდუალური საუბრები. ამას ბევრად შეუწყობს ხელს, თუ ცოცხალ სიტყვას თან ახლავს თვალსაჩინოება, საილუსტრაციო მასალები, რაც იმის გარანტიაა, რომ მსმენელები უფრო ღრმად აითვისებენ თემას. საერთაშორისო თემაზე საუბრისას რუკა მეტად გამოსადეგია, ამასთანავე აგიტატორი თავისუფლად უნდა ფლობდეს მას.

სააგიტაციო მუშაობა შემოქმედებითი საქმეა, რომელიც ვერ ითმენს შაბლონსა და დოგმატიზმს. ახლა თითქმის არც კი მოიძებნება აგიტატორი, რომელსაც არ ესმოდეს ეს. მოსახლეობაში მუშაობისას თბილისელი აგიტატორები ფართოდ იყენებენ თვალსაჩინოებას, უკავშირებენ საუბრებს ცხოვრებისეულ საკითხებს. თვალსაჩინოების გამოყენების საკითხი ბევრ აგიტატორს აღელვებს. აზრი ერთია, იგი აუცილებლად სჭირდება

აგიტატორს. მისი დახმარებით საუბარი უფრო საინტერესოა. ზოგიერთის აზრით ციფრებით აკრეფებული საუბარი მსმენელებს ღლის. აგიტატორთა უმრავლესობას კი სამართლიანად მიაჩნია, რომ ციფრების, ფაქტების გამოყენების გარეშე შეუძლებელია საუბრის მოწყობა. იმის ნაცვლად, რომ დავასახელოთ ათი ციფრი, უკეთესია ვუჩვენოთ დიაგრამა. უკანასკნელი საარჩევნო კამპანიის დროს პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის პოლიტგანათლების კაბინეტში თავი მოიყარა რამდენიმე აგიტატორმა. ერთ-ერთმა მათგანმა საუბარი წამოიწყო საინტერესო თემაზე. პოლიტიკური აგიტაციის კავშირი ცხოვრებასთან აუცილებელია, მაგრამ ეს კავშირი თვითმიზანი როდია. იგი საჭიროა იმისათვის, რომ დავეხმაროთ მსმენელებს უნარიანად გამოიყენონ თეორიული საკითხების ცოდნა პრაქტიკული საკითხების გადაჭრისას. როგორ დაეუკავშიროთ საუბარი ცხოვრებას? ამის შესახებ ყველამ გამოთქვა თავისი აზრი. საერთოდ ასკვნა კი ასეთი იყო: — თუ აგიტატორს სურს, რომ საუბარი მიმზიდველი იყოს, თეორიული დებულებები უნდა ააგოს ცოცხალ, კონკრეტულ მაგალითებზე, უნარიანად განაზოგადოს ისინი, გააკეთოს მათგან სწორი დასკვნები. აი, ეს არის აგიტატორის ხელოვნება, შემოქმედება.

კოლექტიური კითხვის მეთოდი

აგიტატორისათვის, რომელიც მოსახლეობაში მუშაობს, გაზეთი უახლოესი მეგობარი და თანაშემწეა. მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში საუბართან ერთად გაზეთის ხმამაღალ კითხვას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. არასდროს არ უნდა ვიფიქროთ, რომ ხმამაღალი კითხვის მოწყობა მოსახლეობაში მარტივი და იოლი საქმე იყო. იმისათვის, რომ მუშაობის ეს ფორმა შაბლონად და ფორმალურ მეთოდად არ იქცეს, აგიტატორი ღრმად უნდა ჩაუფიქრდეს იმ მასალის შერჩევას, რომლის წაკითხვასაც აპირებს. კოლექტიური კითხვისას დიდი ადგილი უკავია ხელმძღვანელი მუშაკების, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეების გამოსვლების გაცნობას მსმენელები-



სათვის. ასეთ შემთხვევაში წასაკითხი მასალა იყოფა რამდენიმე ნაწილად. მსმენელები ერთმანეთს უზიარებენ შთაბეჭდილებებს, კამათობენ, ზოგჯერ გაზეთის ხმამაღალ კითხვას აწყობენ საუბრის დამთავრების შემდეგაც. აგიტატორები იყენებენ ცენტრალურ და ადგილობრივ გაზეთებს. დაახლოებით წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ვისარგებლოთ გაზეთით, იძლევა აგიტატორ ქ. დანელიას გამოცდილება. მსმენელთა უმრავლესობა, სადაც მე მიხდება მუშაობა, — ამბობს იგი, — დიასახლისები არიან. ზოგიერთს თითქმის არავითარი პოლიტიკური მომზადება არ ჰქონდა. ამიტომ გადაწყვიტე მათთან საუბრები მომეწყო რაც შეიძლება მარტივად, გასაგებად. ამაში დიდი დახმარება გამიწია პრესამ. საუბრის წინ ყოველთვის გულდასმით ვათვალისწინებ გაზეთებს, ვარჩევ საინტერესო. მნიშვნელოვან საკითხებს, სტატიებს, კორესპონდენციებს, როგორც საერთაშორისო საკითხებზე, ისე შინაპოლიტიკურ თემებზე. საგაზეთო მასალის უმეტეს ნაწილს მსმენელებს გადავცემ ჩემი სიტყვებით. თუ გაზეთის კითხვისას შემხვდება რომელიმე ძნელად გასაგები, ან უცხო სიტყვა, მაშინვე ვხსნი მის მნიშვნელობას. კითხვის შემდეგ ვაწყობთ საუბარს, რომელიც მეხმარება უკეთ გავარკვიო დამსწრეთა ინტერესები და სურვილები, დაახლოებით გავითვალისწინო იმ საკითხების თემატიკა, რომელზეც საუბარი მომიხდება შემდეგ მეცადინეობაზე.

კოლექტიური კითხვის მეთოდი მხოლოდ საგაზეთო მასალების გაცნობას როდი გულისხმობს. საბჭოთა ადამიანების შესანიშნავი პატრიოტული გრძნობები, რომლებიც ასახულია საბჭოთა მხატვრულ ლიტერატურაში, საუკეთესო მასალას წარმოადგენს აგიტატორისათვის. სწორად იქცევიან აგიტატორები, როდესაც მოსახლეობაში მუშაობისას აწყობენ საბჭოთა ხალხისათვის ყველაზე პოპულარულ, ახლობელ ნაწარმოებთა ხმამაღალ კითხვას. ა. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდია“, ვ. პანოვას „თანამგზავრები“ და მრავალი სხვა წიგნები უცვლელი სიყვარულით სარგებლობენ. აგიტატორი ა. პაპუაშვილი დიასახლისებს უკითხავდა ბ. პოლევოის ნაწარმოებს „ამბავი ნამდვილ ადამიანისა“. გაიმართა გაცხოველებული საუბარი, დიასახლისები ამბობდნენ, რომ საბჭოთა ადამიანების გმირობა

ნათლად მიუთითებს დიდ სიყვარულზე სამშობლოსადმი. შესანიშნავი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე პ. პავლენკოს მოთხრობამ — „გრიგოლ სულუხია“, რომელიც აგიტატორმა გამოიყენა საუბრისას თემაზე: „საბჭოთა პატრიოტიზმი“.

„განთიადისას დაიჭრა იგი, — დაიწყო აგიტატორმა მოთხრობის კითხვა, — მაგიდასავით უროკო ჩანდა სტეპი — ისე ვერსად წაიქცევი, რომ შორიდან არ შეამჩნიონ. შიშობდა, რომ მოსპობენ ნაღმით, ან გასრესენ ტანკებით. უნდოდა ებოვნა თხრილი, მაგრამ ვერ მოასწრო. როდესაც თავი დააღწია მძიმე გარინდებას და გონს მოვიდა — სტეპი საოცრად შეცვლილი ეჩვენა“. აგიტატორმა მსმენელებს გადახედა, ყველა გულდასმით უსმენდა. მან კითხვა განაგრძო.

„საშმა გერმანელმა ჯარისკაცმა უკვე ჩაუარა გრიგოლს, როდესაც საკეტის ჩხარუნი მოესმათ. ისინი სწრაფად გაეკვრნენ მიწას, მაგრამ ჩხარუნს სროლა არ მოჰყოლია. მაშინ ისინი ხოხვით მიუახლოვდნენ სულუხიას და როცა დაინახეს, რომ მას ფეხზე დგომის თავი არ ჰქონდა, ხელი წაავლეს და წაათრიეს. სულუხიამ გონება დაჰკარგა და არ განუცდია ამ მძიმე გზის მთელი წამება. გერმანელმა, რომელიც რუსულს ძლივს ამტვრევდა. ერთი კასრი წყალი გადაასხა სულუხიას და თითქოს ამას დაჭრილი იქვე გონს მოეყვანოს, გამოკითხვა დაუწყო — რომელი ნაწილიდან იყო იგი, სად იმყოფება ის ნაწილი და რა ძალისაა.

— შენ გესმის რას გეკითხები? — თქვა გერმანელმა.

— დიახაც რომ მესმის! რაო, ყრუ ხომ არა ვარ?

— მაშინ გვიპასუხე!

— რატომ უნდა გვიპასუხო? ჩემი საქმეა: მინდა — გვიპასუხებ, მინდა არა, — უპასუხა სულუხიამ.

მაშინ ტყვეს რამდენიმე კაცი ეცა. მათ გრიგოლს მეორე ხელიც გადაუტეხეს და როცა ტანზე მაზარა, ხალათი და საც-ცვლები შემოაგლიჯეს ხორცზე ხუთქიმიანი ვარსკვლავის ამოჭრას შეუდგნენ.

დაღამებისას სოფელი აღებული იყო. კოცონი ისევ გიზგიზებდა და სულუხიას დანახშირებულ სხეულზე ბეჭებს შუა კიდევ მოჩანდა მუქი სისხლისფერი ვარსკვლავი.

სულუხია ჰგავდა ბრძოლაში დამწვარ დროშას, რომლისაგანაც მხოლოდ ცეცხლგამძლე სტალინური ფოლადისაგან დამზადებული ემბლემა გადარჩენილა“.

მოთხრობამ დიასახლისებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ბევრ მათგანს თვალზე ცრემლებიც კი მოადგა.

გაზეთის, მხატვრული ლიტერატურის ხმამაღალ კითხვას ბევრი რამ აქვს საერთო ჯგუფურ საუბრებთან. საუბრის დროს აგიტატორი იმისათვის, რომ უფრო დამაჯერებელი გახადოს ესა თუ ის აზრი, ხშირად მიმართავს ციტირებას გაზეთიდან. კარგად ორგანიზებული ხმამაღალი კითხვა, რომელიც ორგანულად იქნება შერწყმული აგიტატორის კომენტარებთან, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გავრცელებულ და ეფექტურ მეთოდად იქცევა. უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთით მუშაობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ხმამაღალი კითხვით. გაზეთების ვიტრინების მოწყობა საერთო საცხოვრებლებში, დიდ ეზოებში აგიტატორების პირდაპირი მოვალეობაა. გაზეთის, მხატვრული ნაწარმოების ხმამაღალი კითხვა მნიშვნელოვნად აფართოებს ადამიანის მსოფლმხედველობას. კარგია, თუ მოვაწყობთ საუბრებს წაკითხული წიგნის ირგვლივ, დავაინტერესებთ მსმენელებს, ჩავაბამთ მათ ბიბლიოთეკაში.

პოლიტიკური აზიზაციის ფორმები

სააგიტაციო მუშაობის ფორმები და მეთოდები მეტად მრავალფეროვანია. აგიტატორმა თავის შეხედულებისამებრ, აუდიტორიის ცოდნის დონის, გამოცდილებისა და ინტერესების შესაბამისად უნდა გამოიყენოს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ესა თუ ის ხერხი. აგიტატორები, რომლებსაც აქვთ ადამიანებთან მუშაობის დიდი გამოცდილება, იმის უნარი, რომ შეუხამონ მუშაობის ფორმები და მეთოდები ადგილობრივ სიტუაციას, მრავლად არიან.


ადამიანების გამოწვევა უბრალო, გულახდილ საუბარში, რომელსაც არ ექნება ხელოვნურობის არავითარი ნიშანი, აგიტატორის მეტად ძვირფასი და აუცილებელი უნარია. ეს თავისებური ხელოვნებაა, რომელსაც უნდა დაეუფლოს ყველა,



ვისაც სურს იმუშაოს ადამიანებთან. ყველა ის საშუალება რომლებიც ჩამოვთვალეთ, სრულიად არ ამოსწურავენ იმ დიდ შესაძლებლობებს, რომლებიც აგიტატორს გააჩნია მოსახლეობაში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მოსაწყობად. სააგიტაციო მუშაობის კერად რჩება აგიტპუნქტი. ჩვენს დედაქალაქში საარჩევნო კამპანიის დამთავრების შემდეგ მათი უმრავლესობა წყვეტს მუშაობას, მხოლოდ აქა-იქ, ძალზე იშვიათად თუ შეხვდებით აგიტპუნქტებს, რომლებიც მოსახლეობაში მუშაობას განაგრძობენ. აგიტპუნქტების მუშაობას წარმართავენ პარტიული ორგანიზაციები. როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, აგიტატორებმა უნდა იმორიგეონ, იქონიონ კავშირი მოსახლეობასთან, უზრუნველყონ ლექცია-მოსხენებებზე, აგრეთვე სხვა მასობრივ ღონისძიებებზე მსმენელთა დასწრება.

პოლიტიკური მუშაობის წარმატება მთლიანადაა დამოკიდებული აგიტატორზე. თუ მის მიერ მოწყობილი საუბარი მომზადებულია, ცოცხალია, საინტერესოა მსმენელებისათვის, შედეგი არ დაიგვიანებს. საბჭოთა ადამიანები ყოველთვის იჩენენ უდიდეს ინტერესს საერთაშორისო ამბებისადმი, შინაპოლიტიკური ცხოვრებისადმი, ყველა ცხოვრებისეული საკითხისადმი. აგიტატორის ვალია გააღვიძოს მათში ინტერესი. თუ აგიტატორი შემოქმედებითად უდგება თავის საქმეს, ყოველთვის მიაღწევს მთავარს — მსმენელთა დაინტერესებას, განაწყობს მათ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობისათვის. თუ საუბარი საინტერესო თემას ეხება, აგიტატორს აუცილებლად მისცემენ მრავალ შეკითხვებს. ამავე დროს ეს შეკითხვები მეტად მრავალფეროვანი იქნება. მათში აისახება ქვეყნის პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა მხარე. მოსახლეობის მრავალმხრივი ინტერესების დასაკმაყოფილებლად კარგ, შედეგიან ფორმად ითვლება კითხვა-პასუხის საღამოების მოწყობა. ამ საღამოებზე მიზანშეწონილია ხელმძღვანელი ამხანაგების მოწვევა, რომლებსაც კარგად ესმით ესა თუ ის საკითხი, შეუძლიათ ამომწურავად უპასუხონ შეკითხვებს.

ახლა ისეთი აგიტატორი, რომელიც გაზეთის კითხვით ამთავრებს თავის საქმიანობას, თითქმის აღარ გვხვდება, იგი ვერ



დააკმაყოფილებს მსმენელებს. აგიტატორი მომზადებული მრავალმხრივ განათლებული ადამიანი უნდა იყოს და ამას მსმენელები უნდა გრძნობდნენ. აგიტატორს საჭიროების შემთხვევაში უნდა შეეძლოს მოხსენებით ან ლექციით გამოსვლა.

საარჩევნო კამპანიების დროს ფართოდ არის გამოყენებული ცნობილ ადამიანებთან შეხვედრის მეთოდი. მისი დადებითი მხარე ის არის, რომ მსმენელები უფრო ახლოს ეცნობიან მოწინავე ადამიანის შრომით გზას, გებულობენ, როგორ მიაღწია მან წარმატებას. ამას კი დიდი სააგიტაციო, აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. ცნობილი ადამიანების, სოციალისტური შრომის გმირების, უმაღლესი საბჭოს დეპუტატების გამოსვლებს მშრომელები ყოველთვის დიდი ინტერესით ხვდებიან.


პოლიტიკური აგიტაციის საინტერესო ფორმად ითვლება ექსკურსიები, რომელთა საშუალებითაც მსმენელები გაეცნობიან თავიანთი რაიონის, ქალაქისა და რესპუბლიკის ცხოვრებას. თუ ასეთი ექსკურსიების დროს მოვაწყობთ საუბრებს იმის შესახებ, თუ როგორ იცვალა უკანასკნელ წლებში სახე ქალაქის უბანმა, ეს კარგ შედეგს გამოიღებს. მშრომელები თვალნათლივ დარწმუნდებიან აგიტატორის სიტყვებში. ასეთი ექსკურსიების დროს ადამიანები უკვე სულ სხვა თვლით უყურებენ ახალ საცხოვრებელ სახლებს, ფაბრიკებსა და ქარხნებს. ყურადღების ღირსია პოლიტიკური აგიტაციის ისეთი ფორმა, როგორიცაა კულტმასობრივი სვლები. თუ საუბრის დროს ლაპარაკი ჩამოვარდება იმ დიდ ამოცანებზე, რომლებსაც ახლა კომუნისტური პარტია აყენებს სოციალისტური სოფლის წინაშე, ძალიან კარგი იქნება იმ კინოფილმების ნახვა, რომლებშიც ასახულია სოფლის მშრომელების ბრძოლა უხვი მოსავლისათვის. კოლექტიური დასწრება სპექტაკლებზე, კინოფილმებზე, რაც შეიძლება ხშირად უნდა მოვაწყოთ. კარგი იქნება, თუ მოვახერხებთ მათ საჯარო განხილვას.

გამოცდილება გვასწავლის, რომ პოლიტიკური აგიტაციის მრავალფეროვანი ფორმებისა და მეთოდების გამოყენება ხელს

უწყობს აგიტატორს პირნათლად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა — დარაზმოს ადამიანები შეიღწეულ გრანდიოზულ მიზანდასახულებათა შესასრულებლად.

აგიტატორი ორგანიზატორია


აგიტატორის ხელოვნება, მისი მუშაობის აზრი, ლენინური განსაზღვრის მიხედვით, მიმართულია იქითკენ, რომ მისმა საუბარმა გავლენა მოახდინოს აუდიტორიაზე, დააჯეროს მსმენელები თავისი სიტყვის სიმართლეში. სწორედ მსმენელთა დაჯერება, მათი დარაზმვა წარმოადგენს აგიტატორის უმნიშვნელოვანეს მოვალეობას. პოლიტიკური აგიტაცია საცხოვრებელი ადგილის მიხედვით აგიტატორებისგან მოითხოვს ამ თვისების უფრო მეტეფორი გამოხატვის უნარს. მოსახლეობაში აგიტაცია თავისი ხასიათით მეტრძოლი, ქმედითი, მამობილიზებული უნდა იყოს. მას არ უნდა ჰქონდეს სიყალბის ნასახიცი კი. არადამაჯერებელი იქნება აგიტატორის სიტყვა, თუ იგი გულახდილად არ იტყვის იმ სიძნელეებზე, ბიუროკრატიზმზე და სხვა გადმონაშთებზე, რომლებიც ჯერ კიდევ გვხვდება. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ აგიტატორის სახით, რომელიც მოდის მსმენელებთან, ადამიანები ხედავენ კომუნისტური პარტიის წარმომადგენელს, რომელსაც შეიძლება ნიმართო ყოველგვარი შეკითხვით, რომელთანაც შეიძლება მხარდაჭერის პოვნა ყველა საზოგადოებრივად სასარგებლო საქმეში. სწორედ ამიტომ იმ აგიტატორის მოვალეობა, რომელიც მოსახლეობაში მუშაობს, დიდ ორგანიზაციულ მუშაობასაც შეიცავს. კითხვები, რომელთაც მსმენელები იძლევიან იმ ნაკლოვანებათა შესახებ, რომლებიც ჯერ კიდევ გავვაჩნია, სამართლიანია. კომუნისტური პარტია მოითხოვს აგიტატორებისაგან, რომ მათ თავი არ აარიდონ ამ კითხვებს. პირიქით, აგიტატორები უნდა გამოეხმაურნონ მათ, მსმენელებთან ერთად იბრძოლონ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. აგიტატორი იცნობს ცშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებს და ამიტომ უფრო ხშირად აწყდება ნაკლოვანებებს ამ საქმეში. მასთან პირ-



ველ რიგში მოაქვთ საჩივრები და მოთხოვნები. არ უნდა ჩავთვალოთ ეს მოთხოვნები მეორეხარისხოვან საქმედ. უნდა გვახსოვდეს, რომ მაქსიმალური ყურადღება უნდა გამოვიჩინოთ წვრილმანი საკითხების მოგვარების დროსაც, რადგან ამ წვრილმანებისაგან შედგება ყოფაცხოვრება. დავეხმაროთ ადამიანს გაზეთის გამოწერაში, კუთვნილი დახმარების დროულად მიღებაში, სანიტარულ-ჰიგიენური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებებში, აგიტატორის საპატიო მოვალეობა, მისი წმიდათა წმიდა ვალია. აგიტატორმა არა მარტო უნდა აღმოფხვრას ეს ნაკლოვანებანი, არამედ უნდა ეცადოს, რომ უკეთ იმუშაონ იმ ორგანიზაციებმა, ადამიანებმა, რომლებსაც მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურება ავალიათ. ამისათვის ხშირად უნდა მივმართოთ პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანიზაციებს, გამოვიყენოთ მათი გავლენა ამ საკითხების დროულად გადასაჭრელად.

* *
*

სააგიტაციო ხელოვნების დაუფლება მხოლოდ მუშაობის პროცესში შეიძლება. თუ გსურს სრულყოფილად ფლობდე ამ საქმეს, სისტემატურად უნდა ივარჯიშო. კომუნისტური აგიტაციის ხარისხი, მისი ქმედითობა თვითონ აგიტატორზეა დამოკიდებული. ამიტომ ყოველმხრივ უნდა დავეხმაროთ მათ, რაც შეიძლება სწრაფად დაეუფლონ კომუნისტი აგიტატორის რთულ, საპატიო ხელოვნებას. პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ აგიტატორებთან მუშაობას, მაღალ იდეურ დონეზე მოაწყონ მუდმივმოქმედი სემინარების მუშაობა, ჩაატარონ სპეციალური მოხსენებები, გაუწიონ აგიტატორებს დახმარება პოლიტიკური განათლების კაბინეტებში. ბევრი აგიტატორის სურვილია მიიღოს რჩევა-დარიგება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საუბრისათვის მზადება, ციფრების გამოყენება, როგორ შევინარჩუნოთ აუდიტორიის ყურადღება. აგიტატორებისათვის საინტერესო იქნება საუბარი იმის შესახებ, თუ როგორ მოვახერხოთ აზრის პოპულა-



რული ენით გადმოცემა, საუბრის დროს „ხაზგასმა“, თემის განხრის დედუქციური და ინდუქციური მეთოდის გამოყენება, შინაგანი ტაქტის შენარჩუნება. აგიტატორები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ყურნალ-გაზეთებით, ყოველგვარი ლიტერატურით. სემინარებზე უნდა ვაცნობოთ მათ ახალი ფაქტებისა და ამბების შესახებ. ახლის ძიება, საერთაშორისო და შინაპარტიული პოლიტიკის ამბების საქმის კურსში ყოფნა აგიტატორის ორგანული მოთხოვნილება უნდა იყოს.

ყოველი აგიტატორის ვალია, ღირსეული წვლილი შეიტანოს კომუნისმის მშენებლობის საქმეში, თავდადებით იბრძოლოს თავის უბანზე, არ დაიშუროს ცოდნა და ენერჯია შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესასრულებლად. აგიტატორი მოვალეა შეიარაღდეს კომუნისტური პარტიის პოლიტიკის ღრმა ცოდნით, დაეუფლოს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, მის პრაქტიკულ გამოყენებას. აგიტატორებისათვის არ არის იმაზე მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე მასების მობილიზაცია კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, შვიდწლედის მიზანდასახულობათა შესასრულებლად. აგიტატორები პირნათლად, ღირსეულად შეასრულებენ ამ ისტორიულ ამოცანას.





შინაარსი

შესავალი	3
I. კომუნიზმის მშენებლობა მილიონობით მშრომელის საქმეა	6
საუბრის თემას ცხოვრება გვიკარნახებს	13
გავაღვივოთ საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობა	21
მიმდინარე ამბებს შეუწელებელი ყურადღება	25
II. სრულფეროვანი სააგიტაციო მუშაობის ფორმები	27
ჯგუფური და ინდივიდუალური საუბრები	29
კოლექტიური კითხვის მეთოდი	32
პოლიტიკური აგიტაციის ფორმები	35
აგიტატორი ორგანიზატორია	33

რედაქტორი ნ. კუპრაძე
ტექნორედაქტორი ბ. სიხარულიძე
კორექტორი ო. ცინცაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/VIII-61 წ.
ქაღალდის ზომა $84 \times 108 \frac{1}{32}$. სააღრ.-საგ.
თაბახი 1,73. ნაბეჭდი თაბახი 2,25. სააგტ. თაბახი 1,66.
უე 00455. ტირაჟი 3.000. შეკვ. № 580.
ფ ა ს ი 4 კაბ.

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარბოლიგრაფიამომცემლობის 1-ლი სტამბა,
თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

1-я типография Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Орджоникидзе, 50.



Эдуард Карлович Свхарулидзе

Сила правдивого слова

(На грузинском языке)

Государственное издательство

„Сабчота Сакартвело“

Тбилиси

1964

